645/2
1988 №10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი



10 ISSN 0821-1500
1988

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, პეტრე ქლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე — თბილისობა. ზურაბ დათუაშვილის ფოტოები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რწმენა

ქუთაისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანებას გაისად 60 წელი უსრულდება. ახლა, როცა საიუბილეო თარიღი კარს მომდგარა, ფეიქრები გულმოდგინებით ემზადებიან მისი საზეიმო აღნიშვნისათვის. ორიოდე წლით ადრე რომ მოესწრო ამ ჟამს, ზეიმის უფლება არ ექნებოდათ. უკუღმა დატრიალებული ბორბალივით მიდიოდა საქმე. უთაურობამ და კიდევ ბევრმა სხვა რამემ, დანაშაულად რომ იწოდება, დარია ხელი კოლექტივს და...

— წინა წლიდან სრული სამეურნეო ანგარიშით მუშაობაზე გადავედით. ეს იმის მიუხედავად, რომ ფეხქვეშ მორყეული ნიადაგი გვეცლებოდა,—საუბარში ჩაერია მოწინავე მუშა, პარტიული კომიტეტის წევრი, მეორე საქსოვი საამქროს მქსოველი ნარგიზა მაღლაკელიძე. საქმე იქამდე მივიდა, რომ სახბანკის საკავშირო გამგეობის ხელმძღვანელებმა მინისტრთა საბჭოში შეიტანეს წინადადება საწარმოს დახურვის, ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი პროფილის შეცვლის შესახებ.

— ვითომ მდგომარეობა გამოსწორდა? — განგებ დაეჭვებით ვეკითხები ადამიანებს, რომლებსაც ამ კოლექტივში ათწლობით მუშაობის სტაჟი აქვთ.

— გამოსწორდა და მეტი არა? მოუარეს ამ საქმეს უფროსებმა. ამ ქალს რომ უყურებთ (ხელი პარტკომის მდივნისაკენ, ირა ლეშკაშელისაკენ გაიშვირა), 16 წლიდან მუშაობს ჩვენთან. მუშაც იყო, ინჟინერიც, პარტიული ორგანიზაციის მდივანიც, ახლა მთელი გაერთიანების კომუნისტთა თავკაცია. მან იცის, რარიგ გვიჭირდა. ეს დირექტორიც, ზურაბ მელქაძე, ღვთიან-მადლიანი კაცი გამოდგა. უშველოს ღმერთმა, მაგან ჩვენ გვიშველა! ასეთი ზრუნვა მუშა ადამიანისათვის, ესენი რომ იჩენენ, მე ჯერ, ამ ხნის ქალი ვარ, აქ არ მინახავს. — დინჯი, აუჩქარებელი და გულიანია საჩეჩ-სართავი საამქროს მრთველის, კომუნისტ სვეტლანა თურმანიძის ნაამბობი.

645/2
1988
№10
ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ... საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება ქალთა ინტერესებს, არ წყდებოდეს მათი მონაწილეობისა და განმსაზღვრელი მოსაზრებების გარეშე.

XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე
მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებიდან.



კონტროლიორი ნაირა არსენიძე (მარცხნივ)



დარეჯან გაბუნია

დ. იაკობაშვილის ფოტოები

ყველაფერს სჭირდება ზუსტი არგუმენტი და მათ შორის ამ შეფასებასაც.

**რეალურად დღეს:** უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 1987 წელს პირველად შესრულდა, და გადაჭარბებითაც, მოგების გეგმა. ეს მაშინ, როცა ხუთი წელიწადი წარმოება ზარალიანი იყო და სახელმწიფო დოტაციის გეგმების კორექტირების იმედად იყო. დიახ, ახალი სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების მოსვლიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში 151,5-ჯერ გაიზარდა პროდუქციის რეალიზაცია, პირველად შეიქმნა სტიმულირების ფონდები, მოწესრიგდა მომწოდებლებთან ფინანსური ურთიერთობა. კონკრეტულად შარშან საწარმომ 8 მილიონ 498 ათასი მანეთის მოგება მიიღო.

სოციალური პროგრამა?

გავიხსენოთ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები: „ყოფა-ცხოვრების მოუწყობლობა, ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა, ხარვეზები მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს მუშაობაში — ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა ქალის ხვედრია".

და მართლაც:

— ადამიანი რომ ოცი წელიწადი ბინის მიღების რიგშია და ყველა იმედი გადაუწყდება, რაღა სტიმულით უნდა იმუშაოს? — გვეუბნება მოწინავე მქსოველი ნათელა მაჩიტაძე.

აქ კი 5200 მუშა-მოსამსახურეთა 72,4 პროცენტს ქალები შეადგენენ.

იღონეს ხელმძღვანელებმა და შარშანვე საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან 80 ბინა ისესხეს. წლეულს იმ სესხსაც ისტუმრებენ და კიდევ 100-მდე ოჯახი მიიღებს ბინას. ამას გარდა, საკუთარი ძალებით წელსავე დაიწყებენ ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას მცირეოჯახიანებისათვის.

იმედი მიეცა ხალხს, ლოცავენ უნარიან ხელმძღვანელებს.

ხუთ წელიწადში აღრიცხვაზე მყოფი ყველა 560 ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართობით, აშენდება საბავ-

შვო ბაგა-ბაღი, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, კულტურის სახლი, პოლიკლინიკა 50 საწოლიანი სტაციონარით, მიუსერას ზღვისპირა ზონაში 200-ადგილიანი პანსიონატი და პიონერთა ბანაკი ამდენივე ბავშვისათვის. ღონისძიებების ეს პროგრამა გათვალისწინებულია გაერთიანების რეკონსტრუქციის გეგმაში.

— ყველაფერი გაანგარიშებულია. ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია მუშამოსამსახურეთა შრომის, დასვენების, ყოფისა და ცხოვრების უკეთ მოწყობა, შეუფერხებელი დაფინანსება ექნება სახსრებით, — გულდაჯერებით გვიპასუხებს დირექტორი.

საკუთარი სახსრებით... სულ რაღაც წლინახევრის წინათ საწარმო ვალებში იხრჩობოდა.

როცა მუშას დაზგასთან თავზე აღარ აწვიმს, როცა ბინის მიღების რეალური პერსპექტივა გამოიკვეთა, როცა 6 წლის შემდეგ პირველად მიიღო პრემია, როცა ასორტიმენტშეცვლილ მის ნახელავს საზღვარგარეთის სახელგანთქმული ფირმებიც ყიდულობენ, როცა მისი ოჯახის წევრთა სიჯანსაღისათვის ჯანმრთელობის კერები და ბავშვთა დაწესებულებები ასე მოკლე ხანში ექნება, ხელფასიც გვარიანად იზრდება და მატერიალური სტიმულირების ფონდებიც შეიქმნა — ეს დღევანდელობა და ხვალის იმედი ნამუსიანი და ნაყოფიერი შრომისაკენ უბიძგებს გაერთიანების მუშაკებს და შედეგიც არ აყოვნებს. ამ ბოლო ერთ წელიწადში აქაური მუშები სერიოზულად მოეკიდნენ ეკონომიკური ცოდნის დაუფლებას. ახლა ყოველი მათგანი სწვდება სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობის არსს, კარგად ესმის, რომ პირადი სიკეთე მხოლოდ მის პირად შრომაზეა დამოკიდებული. ამიტომ უფრთხილდებიან ყოველ კაპიკს, ამიტომ ეძებენ ყოველი გრძივი მეტრი ნარჩენების გამოყენების გზებს. ამ სწრაფვას დაექვემდებარა ფართო მოხმარების საამქროს ფუნქციების გაფართოება. საამქრომ შარშან მილიონი მანეთის საბავშვო ასორტიმენტი გამოუშვა და 200 ათასი მანეთის სუფთა მოგება მისცა კოლექტივს. წლეულს უკვე 3-ჯერ ზრდიან ამ საამქროს მწარმოებლობას. წელსვე დაიწყეს სამკერვალო წარმოების მშენებლობა, რომელიც გაერთიანების ქსოვილებით იმუშავებს. ფიქრობენ, რომ იგი ყოველწლიურად საშუალოდ მილიონ 200 ათასი მანეთის მოგებას მისცემს გაერთიანებას. საწარმოს ნარჩენებით მუშაობს კოოპერატივი „ცეროდენაც", რომელმაც შარშან 14 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

**ისტორია და დღევანდელობა:** გაერთიანების პირველი საწარმოო უჯრედი ძაფსალების წარმოება. იგი მხოლოდ სამი სახის აბრეშუმის ძაფს ამზადებდა 31 ტონის მოცულობით. დღეს თითქმის 2-ჯერ მეტს უშვებს. 1929 წელს, როცა ეს წარმოება შეიქმნა, მცირერიცხოვანი კოლექტივი მხოლოდ ამ პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობდა. დღეს ხუთსახეობრივია ფეიქართა ნახელავი. თვით ხამი ძაფი, აბრეშუმის ნართი (აწარმოებს 5-ჯერ მეტს საწყის, 1946 წელთან შედარებით), მზა აბრეშუმის ქსოვილი, (ასევე 5-ჯერ მეტი, ვიდრე 1969 წელს), ხამი აბრეშუმის ქსოვილი (24-ჯერ მეტი, ვიდრე დაწყების, 1933 წელს). ნატურალური ნაგრეხი ძაფი (მისი ამოღება 1986 წელს აითვისეს და ერთი წლის შემდეგ თითქმის 3-ჯერ გადააჭარბა პირვანდელი წარმოების ოდენობას — 32 ტონა).

პირველი პროდუქცია მთლიანად რესპუბლიკას ხმარდებოდა. ახლა გაერთიანება თავის ნაწარმს 14 მოკავშირე რესპუბლიკაში გზავნის. დაეწაფნენ, როგორც ზემოთ ვთქვით, საზღვარგარეთის ფირმებიც.

**შტრიხები მშრომელთა პორტრეტებისათვის:**

გულნარა ჭიქაბერიძე ოთხი ათეული წელია ამ საწარმოში მუშაობს. მას ახსოვს პირველი სტახანოველი ქალები: ს. ხობუა, დ. ბუმაგინა, თ. ბენიძე, ე. ბერძენი... შრომაში დაოსტატებას დიდად უმადლის სონია მამასაშვილს. თვითონაც 20-მდე ახალგაზრდა აზიარა შრომის მადლს. თალიკო გოგიბერიძე, ლენა კინწურაშვილი, თინა მაჩაბელი, მზია და ია მანდარიები მეწინავეობენ და კარგ მაგალითს აძლევენ ახალგაზრდებს.

ცისანა გახოკიძე შემოქმედი მქსოველია. აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ბევრს ზრუნავს კოლეგათა შრომის შემსუბუქებისათვის. მისმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა 48 670 მანეთი დაუზოგა საწარმოს. ლუდმილა კეჭეყმაძე, ტატიანა გოგლიჩიძე, ია გაბრიაძე და ბევრი სხვაც დღენიადაგ ცდილობენ, რომ მნიშვნელოვნად შეამცირონ გაერთიანებაში ხელის შრომის ხვედრითი წილი, რომელიც ჯერაც დიდია — 34,4 პროცენტი.

ვერა და ვერ დაჯაბნეს თანამოსაქმეებმა № 1 საქსოვი საამქროს მოწინავეები ლილი და მარიამ ჭუმბურიძეები, რუიზან ბურჯალიანი, რომლებიც სისტემატურად გამარჯვებულები გამოდიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ექვსი შვილის დედ-მამას თამარ და ვახტანგ ლორიებს, ცხადია, ოჯახშიც ბევრი საზრუნავი აქვთ და საწარმოშიც. ერთსაც კარგად ართმევენ თავს და მეორესაც. გამოირჩევიან შრომით და შვილების კარგი აღზრდით.

როცა ქალთა კოლექტივზე წერ, რა გასაკვირია, თუ ქალებზე უფრო მეტს ლაპარაკობ, მაგრამ, აბა, ნახეთ, როგორი სიამაყით წარმოთქვამენ ვარლამ ქორჩილავას და კარლო ბოჭორიშვილის სახელებს, რომლებმაც ოჯახური დინასტიების ტრადიციას კარგი გაგრძელება მისცეს. პირველი მათგანის შვილები ვარლამი და ნოდარი, რძალი ლანდიშა, მეორის შვილები ზურაბი და დარეჯანი, სიძე სოლომონი, დისშვილი რამაზი ერთიანი შრომითი კოლექტივის ჰარმონიულ მიკროანსამბლებს ქმნიან და თავიანთი ღირსეული წვლილიც შეაქვთ წარმატებებში.

როცა მოწინავეებზე ჩამოვარდება საუბარი, აქ გვერდს ვერ უვლიან დესინატორებს: ლამარა ციხინვალელს, ლიანა ჯვართავას, ბარბარე რუბანიკოვას, თინა ჭელიშვილს, მზია კახიძეს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ გაერთიანებამ თითქმის მთლიანად შეცვალა პროდუქციის ასორტიმენტი, და როცა ამ სასიკეთო საქმეს მაღალხარისხოვანი შრომაც შეენივთა, წარმოება გაკოტრებასაც გადარჩა და მოწინავე მიჯნებზეც გავიდა.

გაერთიანებაში ორდენოსან და მედალოსან ქალებს, რომელთა რიცხვი 100-ზე მეტია სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა გამყრელიძე, ორი შვილის დედა, ჩინებული მეუღლე და საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკი. შესაშურია ამ მუშაქალის მონაწილეობა პარტიის საქალაქო კომიტეტის, მისი ბიუროს მუშაობაში, რომლის წევრიც ის არის. პრინციპულობა და გულითადობა, გულისხმიერება და თანადგომა, სხვებისა და საკუთარი თავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება მისი ორგანული თვისებებია.

პრობლემები? არის, მწვავედაც ახსენებენ ისინი თავს აქაურ ხელმძღვანელებს. ბევრი ხარვეზია შრომის პირობების მხრივ ძაფსალებ წარმოებაში, მაგალითად, დღესაც მოქმედებს 1929 წელს დამონტაჟებული „კმც-10" ტიპის მანქანები. აქაური მუშები ვერა და ვერ გაათავისუფლეს ცხელ წყალში ხელით შრომისაგან, რაც კანის დაავადებას იწვევს. დენადობაც დიდია. გაერთიანების ხელმძღვანელებმა იზრუნეს მდგომარეობის გამოსწორებისათვის: წლეულს მესამე კვარტალში, გამოეყოთ თანამედროვე ტიპის ძაფსალები ავტომატები, და მუშას აცილდება მძიმე შრომა.

რთული მდგომარეობაა საჩეჩ-სართავ წარმოებაშიც, სადაც დამონტაჟებულ რამოდენიმე მანქანას XIX საუკუნის იარლიყი აკრავს. აქაც გამოიკვეთა პერსპექტივა: იმის მიუხედავად, რომ ამ წარმოებისათვის საჭირო დანადგარებს საბჭოური მრეწველობა არ უშვებს, ქალაქის ავტოქარხანა უკვე შეუდგა ადგილობრივი ახალგაზრდა სპეციალისტის გ. ცანავას მიერ შემუშავებული ახალი, დიდად გაუმჯობესებული სახარშავი აგრეგატის გამოშვებას; მომავალი წლის 1 კვარტალში ტექნიკურად განახლდება წარმოება.

— გვჯერა, ამასაც მოებმება თავი ისე, როგორც ბევრი თითქმის შეუძლებელი გახდა შესაძლებელი ჩვენს კოლექტივში. — იმედიანად გვეუბნება საქსოვი წარმოების № 2 საამქროს მქსოველი ქეთევან ქლიბაძე. — სიტყვისა და საქმის ასეთი ერთიანობა, დავბერდი ქალი ამ საწარმოში და, ჯერ არ მინახავს, ასეთ ხელმძღვანელებს როგორ უღალატებს კაცი?!

რომ იტყვიან, ნელდაკაპიწებულები შრომობენ ახლა ქუთაისელი ფეიქრები.

ასეა, როცა რწმენა მტკიცდება ადამიანებში.

**ვ. თევდორაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლილეო იმედისა

შხარას თეთრი დევები და მის წიაღში შობილი, მყინვართა ძუძუთი ნასაზრდოები, მუდამ მღვრიე და გულჯავრიანი ენგური; მრისხანე უშბა და კეკლუცი თეთნულდი; „დალის კარში" გაჩრილი მზის სხივი — მოლაპლაპე მახვილი, თეთრი კოშკები და ფერდობზე მოკიაფე კესანას ცისფერი თვალი.

შიშველ კლდეს ჩანჩქერი ლოკავს, ჩანჩქერს წიქარა დასწაფებია, მზეკაბანიან სათიბს მთიბავის ოფლი ნამავს, ნარნარად სრიალებს ცელი.

ასეთია მხატვრის თვალით, ან კინოობიექტივით აღბეჭდილი ზემო სვანეთი, მაგრამ მახსოვს ამ მთების ავი გუგუნიც, თეთრ მდუმარებაში ცოფიანი ძაღლის ყეფა.

ზათქითა და ღრიალით ეშვებოდა ზვავი, ხევებს ავსებდა და ენგურს მარხავდა. იყო სიმტკიცე კაცთა და კოშკთა, მაგრამ იქვე შიშიც დაძრწოდა.



**ამონაწერი სამუშაო უბის წიგნაკიდან:**

„**1987 წლის 12 იანვარი.**

9 იანვარს მესტიის რაიონში, სახელდობრ მულახში, დატრიალებული უბედურების ამბავმა თბილისში მეორე დღეს ჩამოაღწია. ავდრისა და უგზოობის გამო შემთხვევის ადგილზე მხოლოდ სამი დღის შემდეგ ავედით. აი, ისიც, მულახის თემის სოფელი, უფრო სწორედ, ნასოფლარი ჟამუში. თოვლის საფარი შვიდ მეტრს აღემატება. ამ თეთრ „მთებში" გაჭრილი ბილიკით ავაღწიეთ ნავერიანების კოშკამდე, რომლის გარშემო აღარც ერთი სახლი აღარ დგას. ყველაფერი ზვავს წაულეკავს... მურზა ნავერიანის შთამომავლობას ყველაზე უხიფათო ადგილზე გაუშენებია ეს პატარა სოფელი, მაგრამ არმოსახდენი მაინც მომხდარა. ამ ადგილებში ზვავი არავის ახსოვს. ნეტავ რა მოხდა? ყველა გაოცებულია.

ადგილობრივი და მეზობელი სოფლების მოსახლეობა, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ერთი წუთით არ წყვეტენ მუშაობას, ნანგრევებში და ზვავქვეშ ადამიანებს ეძებენ. ზოგს ცოცხლად პოულობენ და სასწრაფო დახმარებას უჩენენ. 25 ადამიანის სიცოცხლე ვერ იხსნეს. მათ შორის 14 ბავშვია. აი, სულ ახლახანს 26-ე მიცვალებული მოძებნეს, გლოვითა და ზარით მოასვენებენ უშგულელი მათე რატიანის მეუღლეს, რომელიც ქალიშვილთან და სიძესთან სტუმრად ყოფილა ჩასული.

ერთი დღით დაგვასწრეს აქ ჩამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა. ჟურნალისტებიდან მხოლოდ ჩვენ ვართ აქ, მაგრამ რა თავში ვიხლით ამ პირველობას. ერთ-ერთ გადარჩენილ, გრძელშუშაბანდიან სახლში ერთად დაუსვენებიათ ყველა მიცვალებული. მთელი სოფელი ძაძებშია. ისმის ზარი. ახლომახლო, ხევებში, ისევ ეშვება ზვავები".

„**1987 წლის თებერვალი.** ზუსტ თარიღს აღარ ვსვამ, რადგან მესტიის რაიონში კიდევ ორჯერ მოგვიწია ამოსვლა. ამჯერად ჭუბერში, ხაიშსა და უშგულში დაატრიალა ზვავებმა ტრაგედია. ადგილობრივი მოსახლეობა, თბილისიდან ჩამოსული მთამსვლელ-მაშველები შეუსვენებლივ მუშაობენ, სადაც კი შესაძლებელია, ვერტმფრენები დაფრინავენ, ბევრგან მათი დაჯდომა შეუძლებელია. მაშველები ვერტმფრენიდან ხტებიან, ზოგან სურსათ-სანოვაგეს ყრიან. დაიწყო ზვავსაშიში ადგილებიდან მოსახლეობის გახიზვნა, რომელსაც ქუთაისის აეროპორტში ხვდებიან და სასწრაფო თავშესაფას აძლევენ. მთელი რესპუბლიკა ფეხზე დგას, ჩვენ კი ამჯერად მესტიის სასტუმრო „თეთნულდში" დავბინავდით. თოვლი მეორე სართულის ფანჯრებს ნახევრად ფარავს. როგორც იქნა, ცა ოდნავ გაიხსნა და უშგულში ჩავფრინდით. მიცვალებულთა დაკრძალვიდან ერთი დღე გასულა. სოფელი მურყვმელი სანახევროდ გადაუქელავს ზვავს. აქაც ისევე, როგორც ჟამუშში, კოშკებიღა გადარჩა. ნეტავ რა ხელმა და გონებამ ააგო. შვიდი კაცი, შვიდი ჭელიძის სიცოცხლე იმსხვერპლა სტიქიამ. ახლა შვიდივე ერთ უზარმაზარ, გრძელ საფლავში განისვენებს. შვიდი შავი ფიქალის ქვა აღმართულა ამ ტრაგედიის მანიშნებლად. შევხვდით ვალერიან ჭელიძეს, სასწაულით გადარჩენილ ოჯახის უფროსს. ორი სახე არასდროს დამავიწყდება — ჟამუშელი ფრიდონ ნავერიანისა და მურყვმელი ვალერიან ჭელიძისა. უზომო მწუხარებასთან ერთად შეუპოვრობა აღბეჭდვოდა ორთავეს სახეზე. „რა სიმტკიცეა! ღმერთო, მოგვეც ძალი და სასოება..."

* * *

ოპერატიული ტელერეპორტაჟების მომზადებისას იმდენი რამ მქონდა სათქმელი, რომ ეს ჩანაწერები აქამდე არც გამომიყენებია. ალბათ, ამ მოკლე ფრაზებითაც მკაფიოდ იხატება მაშინდელი სურათი.

ახლახან ისევ ვეწვიე მესტიის რაიონის ზემოხსენებულ სოფლებს, რომელთა შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა ორი დადგენილება მიიღეს. მაგრამ ვიდრე ამ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას გაგაცნობდეთ, სოფელ ჟამუშის მკვიდრებთან საუბრის შინაარსსაც შემოგთავაზებთ.

**— რა მოხდა ამ წელიწად-ნახევრის მანძილზე, როგორ ცხოვრობს ახლა თქვენი სოფელი? — ვკითხე მათ.**

**ციალა ჟორჟოლიანი:** — დიდი უბედუ-

რება დაგვატყდა თავს, მაგრამ ხალხის თანადგომამ და სითბომ გარკვეულად მაინც შეგვიმსუბუქა მდგომარეობა. ახლა ჩვენი ერთი ნაწილი მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში გადადის საცხოვრებლად, სადაც მე-700 ანგარიშზე ხალხის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებითა და მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით სახლები გვიშენდება. ზოგიერთი ჟამუშელი ამჟამად ქალაქ მარნეულში ცხოვრობს და თამარისში მიმდინარე მშენებლობაში მონაწილეობს. ყურადღება არ გვაკლია.

**— ქვემო ქართლი და ზემო სვანეთი ბუნებრივი პირობებით ერთმანეთს არ ჰგავს. როგორ შეეგუებით იქაურობას? ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს ადარდებს, რომ ეთნიკური ნიშნებისა და ხასიათის მხრივ სვანებში ცვლილება მოხდება.**

**ბალდო ნავერიანი:** — მეცნიერი არა ვარ, მაგრამ ერთი ვიცი: ენასა და სიმღერებს, ჩვენს თქმულებებსა და ლეგენდებს, ამ მთებისა და მიწის სიყვარულს ვერაფერი დაგვაკარგვინებს. ქვემო ქართლიცა და სვანეთიც ერთი, განუყოფელი საქართველოა. ვიცით, რომ სტუმრად არსად მივდივართ. თანაც ჩვენ არც აქაურობასთან გავწყვეტთ კავშირს.

**— ესე იგი, ჟამუშს დაცლა არ უწერია?**

**ნაპოლეონ ნავერიანი:** — რა თქმა უნდა, არა. ამიერიდან ორი ჟამუში იქნება: ერთი აქ და მეორეც — მარნეულის რაიონში. ჟამუში გვინდა დავარქვათ ჩვენს იქაურ სამოსახლოსაც.

ნათქვამმა — აქაც ვიქნებით და იქაცაო — გული გაგვიმაგრა. ღრმად მიმავალი ფესვი და აზრი ჰქონდა ამ სიტყვებს. ჟამუშში სიცოცხლე რომ არ ჩაქრება, ამის ერთი დასტური აქ აშენებული ხუთი ახალი საცხოვრებელი სახლია, რომელიც მოსახლეობამ დაზღვევის სახსრებით და რაიონის ხელმძღვანელების მიერ ურიგოდ, შეღავათიან ფასებში გამოყოფილი მასალებით ააგო. ახლა ზემო სვანეთის დიდი კერის მოუშლელობის მერე, ყველაზე უფრო მტკიცე გარანტია:

შეკითხვაზე — ხომ არ ემუქრება მესტიის რაიონს ფშავ-ხევსურეთის ბედი, იქაური სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ტრისტან ხვისტანმა** ასე გვიპასუხა:

— ამ საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს რაიონში სულ 9 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 1987 წლისათვის კი 20 ათასს გადააჭარბა. თანაც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მიწების სიმცირის გამო მიგრაცია ყოველთვის მიმდინარეობდა. რაიონს 15 ათასზე მეტი მოსახლის დატევა არ შეუძლია და ჩვენი ერთი ყველაზე დიდი გაჭირვებაც სწორედ ეს იყო. მთები, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს, საძოვრებზეც დიდი სამდურავი არ გვეთქმის, მათი რთული რელიეფის მიუხედავად, მაგრამ საკარმიდამო ნაკვეთები აშკარად არ გვყოფნიდა. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ ახლად დაქორწინებული ახალგაზრდებისათვის დიდი ოჯახებიდან გამოყოფასა და ახალი სახლების აშენებაზე უარი გვითქვამს ამის გამო. ახლა მდგომარეობა შეიცვლება, ზვავსაშიში ადგილებიდან სწორედ 5 ათასი კაცი გავხიზნეთ, რომლებსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ქვემო ქართლში საკმაოდ ვრცელი და ნოყიერი მიწები გამოუყო.

— და მაინც, ორი სოფელი ხაიში და ხალდე წაიშლება ზემო სვანეთის რუკიდან. პირველი საკმაოდ დიდი დასახლებაა, მეორე მომცრო.

— თავს ზევით ძალა არ არის. ხაიშის მოსახლეობის აყრა მარტოოდენ ზვავების საშიშროებიდან როდი გამომდინარეობს. ამ ადგილებს მომავალში ხუდონჰესის წყალსაცავი დაფარავს. რაც შეეხება ხალდეს, მის თავზე, მყინვარზე ძალზე სახიფათო ნაპრალები გაჩნდა. 9 წლის წინათ იქ სამანქანო გზაც ავიყვანეთ, მაგრამ ახლა გამოუვალი ვითარება შეიქნა. საბედნიეროდ, სხვა სოფლებს აყრის საშიშროება არ ემუქრება. ვფიქრობთ, რომ არც ერთ მათგანში, მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიუხედავადაც კი, სკოლა არ დავხუროთ. ერთსაც დავუმატებ: თუ ზემდგომი ორგანოების მიერ მესტიის რაიონის შესახებ გამოტანილ დადგენილებათა შესრულებაში რესპუბლიკის ყველა უწყება შეგვიწყობს ხელს, ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მესტიელები ერთ ამდენ მოსახლეობას კიდევ შევაშველებთ დედასაქართველოს დემოგრაფიული და შრომითი რესურსების განაწილებაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ახლა ვნახოთ, რას ითვალისწინებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წლევანდელი დადგენილება:

უნდა გაძლიერდეს გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და ეკოლოგიური პროცესების კვლევა, რომელიც უკვე დაიწყო. უნდა გაფართოვდეს ახალი საწარმოების და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ფრონტი, დაჩქარდეს წყალსადენისა და ახალი გზების გაყვანა. დროულად უნდა მოგვარდეს ზამთრის პერიოდში მესტიის რაიონისათვის ადგილობრივი დანიშნულების ვერტმფრენის გამოყოფის, თბილისსა და მესტიას შორის რეგულარული ავიარეისების დანიშვნის საკითხი. დღის წესრიგში დგება ლენტეხსა და მესტიას შორის საავტომობილო გვირაბის გაჭრა, რომელმაც თბილისამდე დაახლოებით 100 კილომეტრით უნდა შეამოკლოს გზა, და სხვა.

სოციალურ-კულტურული ობიექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მესტიის სამეცნიერო ბაზის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს. ბაზას ექნება ისტორიული და არქეოლოგიური კვლევის ცენტრი და ეთნოგრაფიული მუზეუმის დარბაზები. ობიექტის საერთო ფართობი — 2700 კვადრატული მეტრი საგამოფენო დარბაზებს დაეთმობა.

ამ უნიკალურ ნაგებობას რთული არქიტექტურული კონსტრუქციები აქვს და ორგანულად შეერწყმება ლანდშაფტს, ფასადი მოპირკეთდება განთიადის ქვითა და დიზის მარმარილოთი, ინტერიერი — ასევე დიზის მარმარილოთი და კურსების გრანიტით. პროექტის ავტორები არიან საქქალაქმშენის მე-2 არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი გივი მეტრეველი და აწ განსვენებული ხუროთმოძღვარი რამაზ კიკნაძე. მშენებლობას უძღვება „კავკასელექტროქსელმშენის" თბილისის სამშენებლო სამმართველო (უბნის უფროსი — კაზიმირ არაბიძე).

ახლა კიდევ ერთი სამუზეუმო ნაგებობის შესახებ. მარტო უშგულში შვიდი ეკლესიაა, რომელთა განძის მეტი ნაწილი ჩაუაშის მაცხოვრის ტაძარში იყო დაუნჯებული. აქ დაცულ 2600 სხვადასხვა ძვირფას ნივთს ერთი პატარა ეკლესია ვერ იტევდა და არც მათი ხელახალი გაფანტვა იყო მიზანშეწონილი. სწორედ ამიტომ ახლახან, მაცხოვრის ტაძრის გვერდით ნიჟარაძეების დიდ კოშკს რესტავრაცია გაუკეთდა და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალად იქცა. განძი, რომელიც ეკლესიიდან ამ ციხე-კოშკის დარბაზებში გადავიდა და გამოიფინა: XI-XII საუკუნეების ძვირფასი ლითონის მხატვრული ფირფიტებით მოჭედილი საკურთხევლისა და საწინამძღვრო ჯვრები წმინდა გიორგისა და სხვა წმინდანების გამოსახულებით, ადგილობრივი და უცხოური წარმოების შემოწირული ჭურჭელი, ბრინჯაოს და ანტიკური ხანის სამეურნეო ნივთები და სამკაულები.

მაგრამ ჩვენ ისევ ჟამუშს, სტიქიით იავარქმნილ სოფელს დავუბრუნდეთ. აქ ტკივილი და იმედი ერთდროულად შეაქანებს გულს.

ორი, ურთიერთსაპირისპირო სურათი:

ნინო ნავერიანის ოჯახის ერთი ოთახი ხსოვნის დარბაზს დამსგავსებია, თანაც როგორი ხსოვნისას — კედელზე სხვადასხვა ზომის ბავშვის ტანსაცმელი კიდია. ფერადი სურათებიდან ყმაწვილთა ღიმილიანი სახეები შემოგვყურებენ... ამ ტანსაცმელს ჩამოხსნა აღარ უწერია, ბავშვები შინ აღარ დაბრუნდებიან. ეზოში ხეზე ჩამობმულ საქანელას ქარი თუ გაატოკებს ხოლმე.

... და უცებ გვერდით — იმავე სოფლის გადარჩენილ უბანში გოგო-ბიჭების სიმრავლე და ჟივილ-ხივილი... ნათია და თამუნა, დათო და ჯონი, ლელა და ლეილა, ლომერ და სპარტაკ, თამარ და ქეთევან — იქნებ ეს სახელებიც ჰქვიათ ამ ყმაწვილებს, ნავერიანთა გადარჩენილ კოშკს რომ შეჰხარიან.

ბარტყობდა სოფლის სიცოცხლე და უეცრად პოეტის ერთი სტრიქონი გამახსენდა: „ყივის მამალი და ყივილით ათენებს ღამეს".

**ბელა ქოქიაშვილი,**
**ტელეჟურნალისტი.**

რამ გაგვახარა

# საკუთარი ჭერი

ოთხი კედელი შესდგომია ყავარჯნად. სადაც ჭერი, ქათქათაა და ფართო. ზედ დაკიდებული ჭაღი მის სითეთრეზე ჩრდილს ტოვებს და ეს ჩრდილი გვირილას ჰგავს, ირგვლივ ოქროს მძივებად იფანტება სინათლე და ოთახს ათბობს. კედლებს შუა მოქცეული სიმყუდროვე ამშვიდებს და მის წილად მოზომილ პატარა სამყაროში სწორედ ის გრძნობა იპყრობს, „ვით უბინაოს ყოფნა ბინაში". საკუთარი ჭერის არსებობა ახარებს, ახარებს, როგორც ბავშვს...

— აქამდე სად ცხოვრობდით?

— ნაქირავებში.

— თქვენ?

— მეც...

— თქვენც?

— მე მშობლებთან.

— და მაინც...

— რა თქმა უნდა...

ღიმილიანი სახეები მომჩერებიან. ლაპარაკობენ მადლიერი სიტყვებით, თვალებში ჩამდგარი სიხარულით. ლაპარაკობენ უფრო მეტად ქალები, ძველ გასაჭირზე, დღევანდელ სიკეთეზე ჰყვებიან და ხშირად ხმარობენ სიტყვას „საჩუქარს"...

მართლაც საჩუქრებივით ჩამოურიგეს გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს ეს ფართო და ნათელი ოთახები. თავიანთი მუდმივი ნავთსაყუდელი პოვეს და ყველაზე დიდი სატკივარი მოეხსნათ, ყველაზე დიდი გასაჭირი გაქრა. ახლა არც ისე ძნელია ყოფა, ახლა ყველაფერს მოევლება...

დაიწყო იმით, რომ ყველაზე აქტუალური პრობლემის — ახალგაზრდა ოჯახების უბინაობის — გადაჭრის მიზნით ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა გადაწყდა, რომლის ხელმძღვანელობაც კომკავშირმა იკისრა. მერე ქალაქის ორმოცდაორი ორგანიზაცია გაერთიანდა და თითოეულმა მათგანმა იმ ოჯახთა სია წარადგინა, რომელთაც განსაკუთრებით აწუხებდათ უბინაობა. მათ შორის იყვნენ ახლადშეუღლებულები, შვილის მომლოდინენი, ბავშვიანები, იყვნენ მდგმურები, ან მშობლებს და სხვებს შეკედლებულები. მშენებლობაზე თავადაც მუშაობდნენ, ერთი წლის მანძილზე ყოველ შაბათ-კვირას მოდიოდნენ და საკუთარი სახლის კედლებს მტკაველ-მტკაველ ამაღლებდნენ. მერე ამ სახლებში სინათლე აინთო და მათი საბუდარიც გათბა.

...გაფრიალებულ კარში შემობაჯბაჯდა. გაჩერდა. გვიყურა ერთხანს, ხან დედას.

პატარა გიორგის პირველი საუზმე მორაშვილების ახალ ბინაში



მამუკა და ირაკლი დავითულიანები



დ. იაკობაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ჩვენ. მერე პირიდან საწოვარა გადმოუვარდა. შერცხვა და ისევ უკან წაბაჯბაჯდა...

დედას ახლა აღარაფრის ეშინია. ახლა აღარავინ ეტყვის, ოთახი დამიცალეო, ახლა იმედიანია და... მეორე შვილს ელოდება...

ცისფერაივნებიანი ოთხი კორპუსი ერთმანეთის მიჯრით დგას. დიდი დიღმის მეორე მიკრორაიონში სხვა საცხოვრებელი სახლებისაგან მათ ადვილად გამოარჩევთ — განსხვავებული მონდომებითა და წადილით ნაგებია, ეტყობა. ორი ცხრასართულიანი, ერთი თორმეტიანი და ერთიც თოთხმეტსართულიანი კორპუსებია. ყველაში ერთად ას სამოცდათორმეტი ოჯახი და სამასამდე ბავშვი ცხოვრობს. აქვეა სკოლა და საბავშვო ბაღი, სურსათის, რძის ნაწარმის, სამრეწველო და სხვა მაღაზიები. თანდათან უფრო სრულყოფილი გახდება ყველაფერი, რადგან ეს ახალი უბანია და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამაა.

სულ ზედა, მეთორმეტე სართულზე ავდივართ, ელექტროტექნიკური ქარხნის ზეინკალი გიორგი დარბიაშვილი დერეფანში საქმიანობს, ოთახიდან ბავშვის ტირილი ისმის.

— რა ხნისაა? — ვეკითხები.

— რამდენიმე დღეა შეგვეძინა, — იღიმება ჯერ კიდევ გაუნელებელი სიხარულით.

— ორივეს გილოცავთ: ვაჟკაცსაც და ბინასაც.

მადლობას გვიხდის და შინ გვეპატიჟება. მაგრამ დედას ახლა ჩვენთვის არა სცალია, პატარა ისე გულმოსული ტირის.

მეოთხეზე, სამოთახიან ბინაში მაუდკამვოლის კომბინატის ოსტატი გიორგი ნაცვლიშვილი ცხოვრობს. ხუთი წლის მანძილზე ქირით ყოფნის შემდეგ ამ კეთილმოწყობილ ბინაში გადმოსვლა მართლაც ბედნიერებად იქცა მისთვის.

— ახლა სხვა პრობლემები რაღა სახსენებელია. ახალგაზრდისათვის უბინაობაზე დიდი პრობლემა არ არსებობს. ეს სახლი გადაუხდელი სიკეთეა ჩვენთვის... ისე კი, ტრანსპორტი გვიჭირს ცოტა, საღამოს საათებში, ბევრი ღამის ცვლაში ვმუშაობთ და გვიანობამდე გვიხდება სამსახურში ყოფნა (ამას მერე სხვებიც იტყვიან, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი).

მესამე სართულზე ჩავდივართ. „საქმთავარენერგოს“ სადგურის უფროსი თენგიზ აბურჯანია სტუმართმოყვრულად ფართოდ გვიღებს კარს. უცხოთა დანახვაზე უფროსი გოგონა მეორე ოთახში შერბის და კაბას იცვლის. დათო კი დედასთან შეყუჟულა სამზარეულოში. არც ხმას გვცემს, არც ფეხზე დგება და არც საჭმლით მოთხუპნულ პირს იწმენდს. რა ქნას, ჯერ მხოლოდ რვა თვისაა...

მოულოდნელი სტუმრობით დაბნეული დიასახლისი ხან გვებოდიშება, ხან მადლიერებით სავსე სიტყვებს გვეუბნება.

მათ კარის მეზობლად შავლოშვილები ცხოვრობენ. ჩვენი ხმის გაგონებაზე ოთახში პატარა სამთვლიან ველოსიპედზე შემომჯდარი თმახუჭუჭა ბიჭი შემოდის. თმებზე ვეფერები და სახელს ვეკითხები, მაგრამ თავს ხრის და არ მიპასუხებს, დედაც უხერხულად გრძნობს თავს. მეუღლის სახელით მელაპარაკება.

— როგორ ფიქრობთ, რითი გამოგარჩიეს, როცა აქ ბინას გაძლევდნენ?

— ჩემი მეუღლე ახლაც მივლინებაშია. იგი საქტიუმმშენის თანამშრომელია. ამ ორგანიზაციიდან თხუთმეტი ახალგაზრდა ოჯახი დაგვაკმაყოფილეს.

— ეს ერთი შვილი გყავთ?

— ჯერჯერობით... — იღიმება.

კიბეებთან სპარტაკ ტურაშვილი გვხვდება. ორი შვილის მამაა. აქამდე ხან მშობლებთან და ხან ნაქირავებში ცხოვრობდა. 1979-80 წლებში ავღანეთში გადიოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ეს ბინაც სწორედ ამის გამო გადაეცა.

ზაფხულის სიცხით შეწუხებული თბილისელები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრუნებულნი ქალაქში, ამიტომ ბევრი კარი დაკეტილი დაგვხვდა, თუმც ეზოდან მაინც

---

**ახალი ლექსები ● ახალი ლექსები ● ახალი ლექსები ● ახალი ლექსები ●**

---

ნაზი ჭედია

## დასასრულიდან

სიმარტოვისთვის დავბადებულვარ,
რომ მარტო ყოფნა მენატრებოდეს,
კოკა წყურვილის ვერ ავსებულა,
ნეტავ, ოცნებად არ დარჩებოდეთ,
— ჩემო ფიქრებო, დღეის ფიქრებო,
ხვალის გზაწვრილთა ადვილმიმგნებნო,
თქვენ გაბარიათ ჩემი სული და,
მე თქვენში ვცოცხლობ დასასრულიდან...

## მზეთა ვარდები

ჰა! კოკორს შლიან მზეთა ვარდები,
სხვადასხვა ფერის მზეთა ვარდები,
რათა გააქრონ ჩემი თანმდევი,
დრო, შენზე მუდამ დანადარდები,
რომ რიჟრაჟისფერ ფარჩა-ფარდებით,
კვლავ შეიმოსოს ტყეთა ლანდები...

...და გადაშლიან მზისფერ გულებს რა,
მთელი სამყაროც იქ მეგულება,
რადგან სიცოცხლის აგუგუნება,
თუ ჩრდილ-სიბნელის განადგურება,
ამ ვარდებს ძალუძთ მხოლოდ და მხოლოდ,
დედამიწაზე დღეს საბოლოოდ...
დიახ, ასრულდა, ჩემი ამდენ ხნის,
ნატვრა ამდენი,
რომ სიხარულის ცრემლის დამდენი,
კოკორს იყრიან მზეთა ვარდები,
შვიდფეროვანი მზეთა ვარდები,
ცისარტყლისფერა, ზეცის ვარდები
და მიაქვთ, სადღაც მირაჟებისკენ,
ჩემი დარდები, დღემდე თანმდევი!...

* * *

(ციკლიდან — „იტალია-77“)

მე შენზე წუხელ, ძვირფასო,
კვლავ მთელი ღამე ვილოცე,
აქ, უცნობ, უცხო მხარეში,
კვლავ ჩემებურად ვილოცე,
ამდენი ცრემლი თვალთაგან,
იქნება არც დასდენია,
თვითონ ვენერა მილოსელს...

რომი — 1977 წ.

მზია მაღრაძე

* * *

მაიგივებდნენ მზესთან, წვიმასთან,
ცრემლთან ან სისხლის მცხუნვარე წვეთთან...
მუჭში მიყრიდნენ სინათლის ხურდას
და მარიგებდნენ ნელ-ნელა ბედთან.

მზის დატორილი მეწვოდა ბეჭი,
მასმევდნენ ღრუბლებს მთები პეშვებით,
ჩამჩიჩინებდა ვიღაც ფიქრიდან:
მტკიცედ სდექ! დაბლა ნუ დაეშვები...
ნედლ სიზმრებს ვიფენ თავსასთუმალთან,
ყვრიმალზე მკოცნის უეცრად დაღლა
და თავს ვიმართლებ — არაფერია,
არწივიც ხომ ფრენს ხანდახან დაბლა!

## მამლუქი

ორლესულივით გავუყრი მზერას
მზეს — იის ასულს, ცეცხლოვან დისკოს —
ვარ დამასკოელ მამლუქის შვილი,
არ დაკარგულხარ, ქართულო გენო.
სულ მისხალ-მისხალ გადაჰყევ თურმე,
არ დაკარგულხარ ქართულო გენო,
ამიტომა აქვს მამლუქის მზერას
ქართულ სატევრის ელვარე გემო.

მხიარული სიცილი და შეძახილები ისმოდა. ბავშვები საქანელაზე შემომსხდარან და ქანაობენ. ლევანი ასფალტზე მზეს ხატავს ცარცით. ზედა სართულიდან ნინიკოს დედა ეძახის. გოგონა სთხოვს და ცოტა ხანს კიდევ რჩება ქვემოთ. ისე კი, მათი გასართობი მარტო აქ არ არის. კორპუსის ზედა, ტექნიკურ სართულზე სავარჯიშო სპორტული დარბაზები და სათამაშო ოთახებია. აქვთ ოთახები კომპიუტერებისათვის, სამკითხველოსათვის, მორიგეობისათვის. სამორიგეოში მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ საჭიროების შემთხვევაში მორიგეს დაუტოვონ ბავშვები. მორიგეობაში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ყველა ოჯახი მიიღებს მონაწილეობას. აქვეა რიტუალების დარბაზი მექორწინეთათვის, ბანკეტისათვის.

ყველაფერი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით გაუკეთებიათ, საუკეთესო ინვენტარით მოურთავთ.

სადარბაზოსთან სატვირთო მანქანას ცლიდნენ. საქმეში გართული „კავგვირაბმშენის" თანამშრომელი ზურაბ ფანცულაია მაინც შევაჩერეთ და ახალმოსახლეობა მივულოცეთ. მადლიერი კაცის ღიმილი არ მოშორებია სახიდან.

— ასეთი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსი პირველად აშენდა ჩვენს რესპუბლიკაში. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ იგი?

— მარტო ჩემი აზრი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მეტად დიდ და სერიოზულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ამიტომ ასეთი მშენებლობის გაგრძელება არათუ გამართლებული, აუცილებელიცაა. რამდენი ახალგაზრდა ოჯახი წვალობს უბინაობით! ამ მიზეზით შვილს ვერ აჩენენ, ან კი საერთოდ ვერ უღლდებიან ახალგაზრდები. ეს ხომ არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული პრობლემაცაა. ჩვენს საცხოვრებელ კომპლექსში უმეტესად მუშები არიან. მათთვის ხელის შეწყობა პირობების შექმნაა საჭირო. ბინის პრობლემა ახალგაზრდა ოჯახისათვის ყველაზე ძნელი და მტკივნეულია, და ის, რაც გაკეთდა, მადლია, სიკეთეა...

ახლა უშვილობის თუ მცირეშვილიანობის მიზეზად ახალგაზრდა ოჯახების უმრავლესობა სწორედ რომ ბინის უქონლობას ასახელებს. ეს საკითხი არც მხოლოდ დღევანდელი დღისა და არც ერთი რესპუბლიკის მასშტაბით გადასაწყვეტია. ამიტომ წლების მანძილზე მუშაობენ სოციოლოგები, მშენებლობის მესვეურები, ეძებენ ათასგვარ საშუალებებს, სხვადასხვა ღონისძიებებს, მაგრამ პრობლემა თავისი სიდიდის გამო ახლაც არ არის გადაჭრილი ბოლომდე. ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობამ კი ნათელი გახადა, რომ ამ გზით ყველაზე ეფექტიანად შეიძლება მოგვარდეს საკითხი, ასეთი სახლების მშენებლობაში ხომ თავად მომავალი მცხოვრებლები იღებენ მონაწილეობას და საქმეც უფრო სწრაფად და ხარისხიანად სრულდება. ამიტომ სასიკეთოდ დაწყებული მშენებლობის გაგრძელებას კვლავაც აპირებენ, პირობას იძლევიან რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტშიც, შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებშიც.

...სურსათის მაღაზიასთან ნანა ონიანი შემოგვხვდა. ისიც ამ კორპუსებში, მე-9 სართულზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობს. ორი შვილი ჰყავს. ახლაც ერთი წლის ნუციკო ეჭირა ხელში, თავად ნუციკოს კი — თავისი საყვარელი ფაფის კოლოფი. ცოტა ხანს ვესაუბრეთ ახალგაზრდა დედას. თურმე ხუთი წელი უცდიდა ბინას, ვინ იცის, რამდენი ოთახი გამოუცვლია, და ეს საცხოვრებელი რომ არა, კიდევ რამდენ ხანს განვალდებოდა... ნუციკო ატირდა. ალბათ, თავისი ლამაზი სახლისაკენ გაუწია გულმა. იქ ხომ ქათქათა, გვირილამოხატული საკუთარი ჭერი ელოდათ...

რიტა ბაინდურაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

## ახალი ლექსები ● ახალი ლექსები ● ახალი ლექსები ● ახალი ლექსები

ძოვდნენ დღეები მოლურჯო სიზმრებს,
რომელთაც მიწის ყივილი ერქვათ —
ძარღვებში გასულ ხელი მტკვრის ტალღას
არ სურდა უცხოს სათქმელი ეთქვა.
მხარზე ხელს მხვევდა სისხლით, იერით,
სიყვარულითაც უცხო ძმობილი,
და მიფრინავდა ფაფარგაშლილი
ოცნება სულ სხვა მიწის ხმობილი.
თავს მჭრიდნენ, მაგრამ არა ვკვდებოდი,
არც არასოდეს ვიყავ ჩაგრული —
მე დევი ვიყავ და ჩემი სული
ქართულ მზის ტანში იყო გადგმული.
ხურჯინში, როგორც დედაპურები,
მიდევს ნაღველი მშობელი მიწის...
მარადიულად იქცა ტკივილი
დიდი სურვილის კოცონზე ვიწვი.
ნუ გეგონება, ქართველო ძმაო,
თითქოს უცხო მკერდს მალავს საკინძე —
ჩემი სამშობლოს ფესვის ტკენაა,
ღამე რომ უცბად გამომაღვიძებს.
ოცნება ჰქვია შორ, მშობელ მიწას
და აცხადება — ცეცხლოვან დისკოს
ვარ დამახკოლელ მამლუქის შვილი,
ვინაც ოდესღაც ქართველი იყო.

### თმოგვის ციხე

ოჰოი და თმოგვის ბებერო მიწავ —
ჩემო ამოჩეხილო ფესვის ნარჩენო,
ან ლიბოდ დამიდე, ან კედელს ჩამაყოლე
ჩემო პატრონო და დამრჩენო.
შენი სიცოცხლის ხმა გამაგონე,
შენი კარის ღრიჭოდ დამტოვე,
შენს გაზაფხულად მომიყვანე და
შენივე ზამთრად დამთოვე.
ოჰოი და თმოგვის ბებერო მიწავ,
ყელთ შენი საბელი შემაბი,
შენს პიტალოსთან მომიყვანე
და პეშვით შენი ცრემლი შემასვი.
ვინ, ვინ მოგვიტევოს შენი იარები?
ტკბილი ხარ, როგორც დამდგარი ზედაშე,
შემინდე მე ცოდვილს, შემინდე ბრალეულს,
შენს ერთ მეციხოვნედ შემრაცხე.
. . . . . . . .
ოჰოი და თმოგვის ბებერო მიწავ!

* * *

იმდენად ხშირად მიღერებ მახვილს,
რომ მიჩლუნგდება ტკივილის განცდა,
სხვასთან მისულა და დარჩენილა
ბედი, რომელიც ანაზდად ამცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კერიის" მიზიდულობის ძალა



ყოველ სიახლეს თავისი ოპონენტი ჰყავს. ამ პრობლემას ვერც კოოპერატივები გადაურჩა. ვინ — აქტიურად უჭერს მხარს, ვინ, პირიქით, სასტიკი მოწინააღმდეგეა. კაცმა რომ თქვას, ერთნიც მართლები არიან და მეორენიც. როგორრო, იკითხავთ. განა შეიძლება ერთ საქმეზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობდეს და ორივე სწორი? თურმე შეიძლება. საქმე ის არის, რომ კოოპერატივს, საზოგადოდ, საფუძვლად უნდა ედოს წარმოება, ე. ი. საკუთარი პროდუქცია. როგორც პრაქტიკამ დაგვარწმუნა, ყოველთვის ასე როდი ხდება: საოცრად მომრავლდა კოოპერატივები, რომლებიც სხვათა მიერ მოწეულის ყიდვა-გაყიდვაში დაოსტატდნენ, ისინი მძიმე ტვირთად დააწვნენ ისედაც „ცეცხლმოკიდებულ" ბაზარს. სწორედ ასეთმა კოოპერატივებმა აიმხედრა მომხმარებლები, უწინარესად — დიასახლისები.

მაგრამ, ხომ არის კოოპერატივები, რომლებიც თვითონ აწარმოებენ ხორცსაც, ყველსაც, მწვანილსაც... საბედნიეროდ, არის. სწორედ ერთ-ერთ მათგანზე გვინდა გიამბოთ.

წარმოიდგინეთ მხიარული ფერებით შემკული ნაგებობა, სადაც შეგიძლიათ მეგობრებთან ერთად მოისმინოთ სასიამოვნო მუსიკა, იგემოთ გემრიელი ხაჭაპური, ყველიანი კვერი, მაწონი, გამაგრილებელი სასმელები... ეს სიამოვნება თქვენს ჯიბეს ბევრს არაფერს დააკლებს — ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომია. მომსახურე პერსონალიც უფრო მეტ ღიმილს იმეტებს, უფრო გულითადი და უშუალოა. ცხადია, ასეთ გარემოში მეორედაც სიამოვნებით მოხვდებით. სახელიც რომ შესაფერისი შეურქმევიათ — „პატარძალი". საოცრად ეხამება ერთმანეთს ფორმაც და შინაარსიც. თქვენ, რა თქმა უნდა, მისამართიც გაინტერესებთ. „პატარძალი" ხობშია...

მაგრამ „პატარძალს" „მშობლებიც" ჰყავს — იგი კოოპერატივ „კერიის" პირმშოა. „კერია" ხობ-ზუგდიდის ავტომაგისტრალის მესამე კილომეტრზე მდებარეობს, „პატარძალი" — რაიონულ ცენტრში. საინტერესოა, რა პრინციპით მუშაობს კოოპერატივი? ვინ შედის ამ ახალთახალ, ორსართულიან რესტორანში, კოლხურ „ჯარგვალში", სადაც მამაპაპური ბუხარი გიზგიზებს, ხოლო ჭერში დაკიდებული შებოლილი სულგუნი, ლორი და ხმელი თევზი საოცარ სურნელებას აფრქვევენ. „კერიის" ნათლია და ხელდამსმელი მოგელი სოსელია. საქმეზე წასულა, მაგრამ აქ არის ბუღალტერი ვლადიმერ ზარანდია, ომისა და შრომის ვეტერანი, ყველასგან პატივცემული ადამიანი. სწორედ მისგან ვიგებთ,

რომ ამ მშვენიერი ნაგებობის, დამხმარე სათავსების ასაგებად, დანადგარ-მოწყობილობის და პირუტყვის შესაძენად კოოპერატივის თერთმეტ წევრს 90 ათასი მანეთი დაუდია, სახელმწიფოსაგან კი 112 ათასი მანეთი სესხი აუღია (ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ექვს თვეში ვალის თითქმის ნახევარი უკვე გაისტუმრეს).

აი, აქვე, ყურის ძირში, სამომხმარებლო კოოპერაციის რესტორანი „კოლხეთი" წამომართულა. სანამ „კერია" დაემეზობლებოდა, გამვლელ-გამომვლელი ამ რესტორანში შედიოდა. ახლა.., ძნელად თუ ვინმეს წაუცდება ფეხი. ვიკითხეთ: რა მოხდა, რატომ აქცია ზურგი მომხმარებელმა „კოლხეთს" და რატომ იბრუნა პირი „კერიისაკენ"? პასუხი ძალზე მარტივია, მაგრამ სწორედ ამ სიმარტივეშია ღრმა შინაარსი: „კოლხეთში" ყველაფერი ძველებურია — კერძებიც, მომსახურებაც, ფასებიც. აქ კი, „კერიაში", კერძებიც ახალია, მომსახურებაც და ფასებიც. ის კი არა, ძალზე გამაკვირვა წარწერამ, სამამულო ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს ათი პროცენტის ფასდაკლებით ვემსახურებითო. აბა, რომელ რესტორანში გინახავთ ასეთი წარწერა? აი, „კერიაში" კი ვნახეთ. და ვნახეთ იმიტომ, რომ ყველაფერი, რასააც აქ მომხმარებელს სთავაზობენ, კოოპერატივის წევრთა ხელით არის მოწეული და ფასებსაც თავიანთი შეხედულებისამებრ აწესებენ. მეზუფეტეს ვთხოვეთ, ოთხკაციანი სუფრის დანახარჯი ეანგარიშებინა. 34 მანეთი და 46 კაპიკი გამოვიდა. ასეთ სუფრაში რესტორანში ორმაგს მაინც გადაგახდევინებენ...

რა თქმა უნდა, ის პროდუქტები, „კერია" რომ ვაჭრობს, ციდან არ ცვივა. რაისაბჭოს აღმასკომმა კოოპერატივს 32 ჰექტარი მიწა გამოუყო. კოოპერატივის წევრებმა დიდი ოფლი დაღვარეს ნიადაგის გაკულტურებისათვის, სამაგიეროდ ერთ ჰექტარზე ახლა ჩინებული ბოსტანი აქვთ, დანარჩენზე კი სიმინდი უთესიათ. სიმინდს რომ აიღებენ, ბალახს დათესავენ. მარტივი ტიპის სადგომებში ჰყავთ 18 ძროხა, 62 გოჭი, 29 ბურვაკი, 45 თხა და ციკანი. ლებარდეს მთებში, საზაფხულო საძოვრებზე გადაიყვანეს 82 ძროხა. კოოპერატივის განკარგულებაშია აგრეთვე 50 სკა ფუტკარი.

ზემოთ ვთქვით, რომ კოოპერატივი თერთმეტ წევრს აერთიანებს. საგულისხმოა, რომ მათგან ხუთი პენსიონერია. მკითხველი მიხვდება, რომ თერთმეტი კაცი ამდენ საქმეს — პირუტყვის, სახნავ-სათესის, დანადგარ-მოწყობილობის, კაფე-რესტორნის და სხვა ნაგებობების მოვლას ვერ აუვა, ამიტომ ხელშეკრულებით 27 დამხმარე მუშა აიყვანეს. მათი უმეტესობა დიასახლისი და პენსიონერია. დააკვირდით, კოოპერატივი ფართოდ უღებს კარს იმათ, ვინც სამსახურიდან თავისუფალია, მაგრამ ისინიც, ვინც მუშაობენ, მათთვის ხელსაყრელ დროს საქმიანობენ კოოპერატივში. ამით სახელმწიფო საქმე არ ზარალდება. გარდა ამისა, სეზონურ სამუშაოებზე კოოპერატივის წევრთა ოჯახებიც მუშაობენ.

„კერიას" დიდი სამომავლო გეგმები აქვს. ძროხების რიცხვი 150-მდე უნდა გაიზარდოს, ღორისა — 200-მდე, ფუტკრის ოჯახისა — 100-მდე. გეგმაშია ინკუბატორის აგება. კოოპერატივს შეემატება სათბური, თევზის სატბორე მეურნეობა, სოსისისა და ძეხვის საამქროები. მაშინ სარეალიზაციო პუნქტი მოსახლეობას შესთავაზებს ხორცს, რძეს, თევზს, თაფლს, სულგუნს, ჭყინტ ყველს, ძეხვს, ბაღჩეულს და ცხელ კერძებს. ეს არც ისე შორეული საქმეა, რადგან ბევრი რამ უკვე კეთდება.

ამჟამად კოოპერატივი დღეში 1.000-1.100 მანეთს ვაჭრობს. ექვს თვეში მთლიანმა შემოსავალმა 222 ათას მანეთს გადააჭარბა, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში 2.104 მანეთია გადარიცხული. წესის თანახმად, კოოპერატივმა სახელმწიფოს ერთი წლის მანძილზე, კვარტალში ერთხელ მოგების 3 პროცენტი უნდა გადაურიცხოს, მეორე წლიდან — 5 პროცენტი, მესამე წლიდან — 10 პროცენტი. ე. ი. სახელმწიფო კოოპერატივს საშუალებას აძლევს მოღონიერდეს, გააფართოოს წარმოება, გაზარდოს შემოსავალი და გაისტუმროს მოკლევადიანი სესხები. ეს პრინციპი, როგორც კოოპერატივის წევრებმაც დაგვიდასტურეს, სავსებით ესადაგება მათ ინტერესებსაც.

— ხომ არ გაუჭირდა „კერიას" გზის გაკაფვა? — ვკითხეთ კოოპერატივის წევრს იმედო ფირცხალავას.

— არ გასჭირვებია. ყველამ მხარი დაგვიჭირა, რადგან, როგორც თქვენც დარწმუნდით, ჩვენ მართლა საკუთარ წარმოებას ვეყრდნობით.

— როგორ, არაფერს ყიდულობთ?

— ვყიდულობთ პურს, შაქარს, უალკოჰოლო სასმელებს, მარილს...

— გამომუშავება როგორია?

— მეცხოველეები თვეში 300 მანეთამდე იღებენ, კაფე-რესტორნის მომსახურე პერსონალი — 170-180 მანეთს. აი, ბანკის სესხებს გავისტუმრებთ და შემოსავალიც გაიზრდება.

ერთი სასიამოვნო ამბავიც შევიტყვეთ: შემოსავლის მატება მარტოოდენ ხელფასზე როდი იმოქმედებს. თანხის გარკვეული ნაწილი წარმოების გაფართოებას მოხმარდება, ნაწილი — ბაგა-ბაღების, სკოლების, კლუბების მშენებლობას. დიახ, „კერია" საერთო საქმეშიც თავის წვლილს შეიტანს.

ავტომაგისტრალზე წუთით არ წყდება მოძრაობა. უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ავტომანქანები. ბევრი ჩერდება კოოპერატივთან. მასპინძლები ყოველ მათგანს უშურველად უწაწილებენ „კერიის" სითბოს და მომხმარებელიც კმაყოფილი მიდის იმ იმედით, რომ მალე ისევ მოუწევს სასურველი შეხვედრა...

ელგუჯა ლებანიძე

ხობის რაიონი

# წაუკითხეთ პატარებს

## ჭიანჭველა და ნარჩიტა

ჭიანჭველას წკირი მიაქვს,
დაიქანცა გარჯითა.
— ჰეი, ჰეი! — ნარ-ეკლიდან
გადმოსძახა ნარჩიტამ.
ციცქნა კაცო,
სად მიათრევ
ამ ტვირთს ასე ყოჩაღად?
ანდა მკლავში რა ძალა გაქვს,
ბალახში ძლივს მოჩანხარ.
შენც რომ იყო ჩემხელა და
სწრაფი ფრთებით ნაქები,
მაშინ არ გავვოცდებოდი,
არც კი დაგიძახებდი...
ჭიანჭველამ გაიცინა:
— ნეტავ რატომ ვერ ხვდები?
შრომის სიყვარული არის
ჩემი ღონეც და ფრთებიც...

## მგელი

მწყემსი ბიჭი, კომბლით ხელში,
აძოვებდა ველზე ფარას.
საიდანღაც გაჩნდა მგელი
და ერთ ბატკანს მიეპარა.
მურა ფეხზე წამოიჭრა,
ყეფა-ყეფით ეცა ბოროტს;
მხეცს კომბალი მწყემსმა ბიჭმა
ზურგში დრუზა სამახსოვროდ.
ახლა მგელი ტყეში ზის და
დაულია მშრალი ხახა...
ბაჭიები ბუჩქებიდან
დასცინიან:
ხა-ხა, ხა-ხა.

## დათო ზღვაზე

მზემ ძლიერად დააცხუნა,
ნაპირ-ნაპირ ზღვა გაათბო.
საცურაო კოსტიუმში
გამოეწყო ბიჭი დათო.
მამას სთხოვა,
მამიკომაც
ბანაობის ნება დართო.
მაგრამ ბიჭი ნაპირზე დგას,
ველარ ჩადის წყალში მარტო.
ჭიჭყინებმა ამოსძახეს
— რა გაშინებს,
ჩვენც აქ ვართო!

ირინე უშვერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლომიძე

# ღელე



მხატვარი ლია სვანიძე

— მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს, შხამად ექცეს ის კიტრი და ბალი, ვინც ამ ბაღში საქურდლად გადმოვიდა, — მთელი ხმით გაჰკიოდა მაკრინე და ბაღის გამორღვეულ ღობესასწორებდა, — ის არ მოესწროს ამ ხილ-ბოსტნეულის მეორე მოსვლას.

— რა ახპიტები აისხი ენაზე, ქალო, როგორ არა გრცხვენია ამ ხნის დედაკაცს, ზეცას რომ იშველიებ წყევლისათვის, რაღაც ორი მარცვალი ბლისა და კიტრის გულისათვის, — ბრაზმორეული გამოეხმაურა მას სახლის სახურავზე კრამიტის გასასწორებლად ასული გარსევანი, რომელმაც ვეღარ გაუძლო ავყია ქალის ნახევარსაათიან ტირადას, — ბავშვებმა თუ ორი-სამი კიტრი მოიპარეს, რა დაშავდა, მე მოგცემ, შე კაი ადამიანო.

— შენ რაღა გეთქმის, შე უბედურო, — მსწრაფლ შეუტია ახლა მას მაკრინემ, — სხვის საჯიჯგნად რომ გაზარდე ქალიშვილი, გულკეთილი, მამაკაცს უარს რომ ვერ ეუბნება. ალბათ შენგან დაჰყვა გულკეთილობა, — თავდაუზოგავად ანთხევდა შხამს გაგულისებული დედაკაცი, თითქოს ყველასადმი ზიზღი, ლანძღვა და რამენაირად გულისტკენა სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი.

გარსევანს სახე მწარედ დაეღმიჭა, თითქოს დაპატარავდა კიდეც, ტუჩები და ხელები აუკანკალდა და საპასუხოდ მხოლოდ ესღა მოახერხა:

— მეც გიჟი ვარ, რომ აგყევი. ასპიტისაგან სხვას რას უნდა ველოდე, თუ დაგესვლას არა, — მუშაობა ვეღარ შეძლო, ფრთხილად აკრიფა ხელსაწყო-იარაღები და დაბლა ჩამოვიდა.

მაკრინემ კი, რახან საბაბი იშოვა, რისხვის ცენტრი მთლიანად გარსევანსა და მის ქალიშვილ ქეთევანზე გადაიტანა. დიდხანს ლანძღა და თათხა ისინი. ამასობაში ღობეც შეაკეთა და სახლისაკენ გასწია.

— რა იყო, დედი, ვის გაუჯავრებიხარ? —მიეგება მას ლევანი, ყანიდან ახალდაბრუნებულს ტანსაცმელი ჯერ კიდევ რომ არ გამოეცვალა.

— გაჯავრება და არგადარჩენა იმათ, ვინც ნერვებს გვიშლის, მოსვენებას არ გვაძლევს! თითქოს ბაღი და ბოსტანი ჩვენს მეტს არავის ჰქონდეს, მაინც და მაინც ჩვენი ღობე უნდა გადათელონ, ჩვენი ხეხილის ტოტები დაამტვრიონ, ბაღჩეული გააპარტახონ.

ლევანი მიხვდა, რაც მომხდარიყო, ამიტომ შეეცადა დედის დამშვიდებას.

— ბავშვები იქნებოდნენ, დედი, რა მოხდა, ეპატიებათ. ბავშვობაში ყველანი ეგეთები ვიყავით, ალბათ შენც. ხომ იცი, მოპარული ხილი უფრო გემრიელია? — ღიმილით ეუბნებოდა იგი.

— არა, იმ მომღვრძალ ბერიკაცს მაინც რა ეკითხება ჩემი ბაღისა, ან იმისა, თუ რას ვიტყვი? ის ურჩევნია, თავის ქალს მიხედოს, საქვეყნოდ რომ არის ასპარეზზე გამოსული, სინდის-ნამუსისაგან ხელდაბანილი.

ლევანი ვერ მიხვდა, ვისზე ლაპარაკობდა დედამისი, მაგრამ არაფერი უკითხავს. უფრო მეტად არ გავაღიზიანოო. ტანსაცმელი გამოიცვალა, ტახტზე წამოწვა და გაზეთების კითხვა დაიწყო.

მაკრინემ კი თავშალით თმები აიკეცა, ხელები სუფთად დაიბანა და მჭადის ფქვილის ცრა დაიწყო, თან ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ქოქოლა.

შეჩვეული იყო ლევანი დედის ხასიათს. რამდენჯერ უკამათნია მასთან, არ არის საჭირო ამდენი წყევლა-კრულვა, ქვეყანა ამის გამო გუავს მომდურებულიო, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი!

„ამ ხნის ქალს მე უკვე ველარ გარდავქმნი და ხელახლა ველარ აღვზრდიო" — გადაწყვიტა ლევანმა და ხშირად ყურსაც აღარ ათხოვებდა ხოლმე მის სიტყვებს.

— რა ქნას, ბედმა გააწიწმატა, — იტყოდა ხოლმე მეზობლებში ლევანი, — რამდენი გაჭირვება უნახავს, თქვენც კარგად იცით.

მართლაც, ექვსი წლის დაქორწინებული იყვნენ მაკრინე და თეოფილე, როცა კულაკებმა ეს უკანასკნელი მოჰკლეს. გაჭირვებით ზრდიდა ორ ობოლს — თამროსა და ლევანს მარტოხელა მაკრინე, ისედაც ღატაკი და ხელმოკლე ოჯახის პატრონი, მაგრამ ცხოვრება ახალ სიმუხთლეს უმზადებდა: ერთ გაზაფხულზე თორმეტი წლის თამროს ფიცარი ჩაუტყდა და წყალში დაიხრჩო. ყველაფერი და ყველა შეიძულა ამ ქვეყანაზე მაკრინემ, გესლით აივსო. მზე და მთვარე მხოლოდ ლევანზე ამოსდიოდა.

— ის ურჩევნია, თავის უნამუსო ქეთევანს მოუაროს და ლაგამი ამოსდოს, მე რომ მასწავლის ჭკუას, — იმეორებდა იგი.

ლევანი ქეთევანის ხსენებაზე გამოფხიზლდა, ტახტზე წამოჯდა და დედას გააწყვეტინა.

— დედი, რომელ ქეთევანზე ლაპარაკობ?

— განა ვერა ხვდები, რომელ ქეთევანზე მოგახსენებ? სხვა სახელგატეხილი ქეთევანი ჩვენ სოფელში არავინაა, — მიუგო მაკრინემ და მჭადის ცომში მუშტები გაჩქარებით დაატრიალა.

ლევანი სახეზე წამოწითლდა და აღელვებისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა: — დედი, რა დაგიშავა იმ ქალმა, რამდენჯერ უნდა გთხოვო, ტყუილუბრალოდ ნუ ლანძლავ იმას-მეთქი? ის პატიოსანი ქალია, — აქ შეჩერდა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და უკვე მშვიდად გააგრძელა: — შენ იცი თუ არა, რომ ქეთევანსა და მე ერთმანეთი გვიყვარს და, ალბათ, მალე ვიქორწინებთ კიდეც?

მეხი რომ გავარდნილიყო, ვულკანს რომ ამოეხეთქა, ამ მაღალმთიან სოფლის გორაკზე წამოსკუპებული სახლის კარები ზღვის ტალღებს შემოელეწა — ეს ყველაფერი ერთად მაკრინეს ისე არ გააოცებდა, როგორც ამ სიტყვებმა. ელდა ეცა, ერთბაშად ძარღვებში სისხლი გაეყინა, ხელის მტევნები ცომში ჩაფლული ჩარჩა, ფერმკრთალი სახე მთლად ქაღალდისფერი გაუხდა. პირი დააღო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, რადგან ყბა აუკანკალდა, თვალებმა სიცოცხლის იერი დაკარგეს და შუშისაგან გამოჩარხულებს დაემსგავსნენ.

დიდხანს იყო ასე გარინდული. ლევანიც შეშფოთდა, ფეხზე წამოიჭრა, ხელები წინ გაიშვირა და დედისაკენ გადადგა ნაბიჯი, რომ უცბად გაისმა გონს მოსული მაკრინეს სიტყვები:

— უწინამც დღე დამიბნელდეს და ერთადერთი შვილიც დავმარხო, ვიდრე ის გარყვნილი ქალი სახლში არ შემოვუშვა. ეგ რა წამოგცდა, ეგ რა თქვი? გირჩევნია თავიდან მომწყდე, თვალით არ დამენახო.

...მესამე თვეა, რაც სოფელი მამაკაცებისგან დაცარიელდა, მესამე თვეა, მოთმინებით გასცქერის გზას მაკრინე, შიშნარევი სიხარულით მისჩერებია ფოსტალიონს და ხმაამოუღებლად ელოდება მის განაჩენს, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ერთი წერილი მიიღო ლევანისაგან, ისიც ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, როცა ფრონტის წინა ხაზზე ჯერ არც იყო გასული. ეს იყო და ეს.

მაგრამ აი, ერთ დღეს მოვიდა ფოსტალიონი და პირქუში ღრუბელი ჩამოწვა მაკრინეს ოჯახში.

შეშლილივით აქეთ-იქით ეხეთქებოდა მაკრინე, თავს ურობსავით სცემდა კედლებსა და იატაკს, მაგრამ სიკვდილი არ მოდიოდა. აჩრდილს დაემსგავსა, ძილი, ჭამა და სმა დაივიწყა.

— რას იკლავ თავს, შე საცოდავო, — მოადგა ერთხელ მეზობელი. — იქნებ ეგ შავი ბარათი ცდება. განა ცოტა შემთხვევაა?

მაკრინე კრიჭაშეკრული უაზროდ მიშტერებოდა სტუმარს და განუწყვეტლად ზმუოდა.

— საწყალი ქეთევანიც ლამის გაგიჟდეს, — განაგრძობდა მეზობელი. — თურმე შენს ლევანსა და მაგას ერთმანეთი ჰყვარებიათ. სიკვდილმა კი შეიყვარა ჰიტლერი მაგათი დაშორებისათვის.

მაკრინე უსმენდა და მის მუმიასებრ სახეზე ერთი ნერვიც არ შეტოკებულა.

მეზობელი კი, თითქოს გამოცდას უპირებსო, მონოტონურად უყვებოდა ახალ და ახალ ამბებს.

— ეგ კი არა, თურმე ლევანისაგან ფეხმძიმედ ყოფილა და ახლა იძახის, აღარავინ არ მინდა, მუცელიც უნდა მოვიშალოო.

ცა გადიხსნა მაკრინეს სახეზე. თვალებში ნაპერწკალმა გაიკიაფა. ფეხზე ახალგაზრდულად წამოფრინდა და შიგ სახეში ჩააშტერდა სტუმარს.

— რა სთქვი, ფეხმძიმედ ყოფილა? ხომ არ გეშლება, კატო? მითხარი, პატიოსნებას გაფიცებ. კიდევ გაიმეორე, ეგრემც გაიხარებდე შენს ქმარ-შვილში.

პირველად ესმოდა კატოს მაკრინესაგან ლოცვა და ვედრება.

მზე ჩადიოდა, გარსევანის ეზოს რომ მიადგა მაკრინე. დაჩოქილმა გამოიარა მთელი გზა თავისი სახლიდან. მუხლებთან კაჰი შემოხეოდა და იქიდან სისხლი ჟონავდა, ხელის გულები დაჰკაწროდა, თითები გადაყვლეფოდა.

ჭიშკართან შეჩერდა და მისუსტებული ხმით დაიძახა:

— ქეთევან, შვილო, გამოიხედე. შხამიანი გველი მოადგა შენს კარებს და დაჰკარ ფეხი, გასრისე, — გამშრალი ენა მუხის ქერქივით დამსკდარ ტუჩებს ველარ ასველებდა.

— რა გნებავთ, რაზე შეწუხებულხართ? — შეეკითხა გარეთ გამოსული ქეთევანი, — მოხვედით, რომ უფრო მეტად მომიკლათ გული, ისედაც გულმკვდარსა და გაუბედურებულს, შერცხვენილსა და თავმოჭრილს?

— პატიებას გთხოვ და შემიბრალე უბედური დედა. ფეხის მტვრად გექცევი, ფიანდაზად დაგეფინები. ბოროტად და საფრთხობელად მეც ვეყოფი დედამიწას. ნუ იქმ მაგ საქმეს...

— რას მეუბნები, ვერ გამიგია, — შეაწყვეტინა ქეთევანმა, რომელსაც თავი ძლივს შეეკავებინა, რომ მოსული არ მიეტოვებინა და სახლში არ შევარდნილიყო.

— შვილი მაჩუქე, შვილო ქეთევან, შვილი. ჩემი ლევანი. ცხრა თვე გულის ქვეშ, ოცი წელიწადი კი გულში მიტარებია. შეიბრალე უბედური დედა. გამიხანგრძლივე ლევანის სიცოცხლე, ახლა შენი გულის ქვეშ რომ დაუდია ბინა. შენი გულის ქვეშ გრძელდება სიცოცხლე, ნუ მოიშორებ მას, შვილის მაგიერო...

სიტყვა გაუწყდა. მოწყვეტილი პირქვე დაემხო.

..ქეთევანმა ფრთხილად დაუხუჭა თვალი მიცვალებულს.



ქეთევან კახიანი

# ორი დიდი იმედი




სოფიკო ტერელაძე

ახალგაზრდა მოჭადრაკისათვის ყოველ წელს კი არა, ყოველ თვესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია უდავოდ სწორად მოიქცა, როცა ერთის ნაცვლად ორი მსოფლიო ჩემპიონატი დააწესა: გოგონათათვის, რომელთა ასაკი 16 წელს არ აღემატება და მათთვის, რომლებიც 20 წელზე უხნესნი არ არიან.

როცა თოთხმეტმა უძლიერესმა მოჭადრაკე გოგონამ ბაქოში მოიყარა თავი, იქ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები უნდა შეერჩიათ უახლოეს მსოფლიო და ევროპის პირველობისათვის. ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ბაქოში ხომ სწორედ ის გოგონები ასპარეზობდნენ, რომლებმაც ხვალ-ზეგ ჩვენი სახელოვანი დიდოსტატები უნდა შეცვალონ.

ჩვენ არ გვახსოვს უკანასკნელი წლების რომელიმე საჭადრაკო შეჯიბრება, რომელშიც ერთ მონაწილეს სხვებთან შედარებით ესოდენ თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონოდეს. ვფიქრობთ, სწორედ ასე ითქმის ქეთევან კახიანზე, რომელმაც როგორღაც ძალიან იოლად, ძალების დაუძაბავად მოიპოვა პირველი ადგილი. ფაქტი ფაქტად რჩება — ამ შეჯიბრებაში მას ვერავინ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა. საუკუნის დასაწყისის ერთი გერმანელი საჭადრაკო ჟურნალისტის ხუმრობა ცოტა რომ გადავაკეთოთ (ლასკერის მიმართ ნათქვამი), ასე გამოვა: „ხან კახიანი იგებდა, ხან კი მისი მოწინააღმდეგეები აგებდნენ“. ერთი რამეც იპყრობს სპეციალისტების ყურადღებას: კახიანი თითქმის მთელი წლის მანძილზე განუწყვეტლად მონაწილეობს საჭადრაკო შეჯიბრებებში, საერთაშორისო იქნება ეს, საკავშირო თუ რესპუბლიკური. ასეთი დატვირთული კალენდრის მიუხედავად, იგი კარგად სწავლობს სკოლაში და იმასაც ახერხებს, რომ ყოველდღიურად თბილისში ჩამოდის (დიდი ლილოდან) და 4-5 საათი ჭადრაკში მეცადინეობს. შეუპოვრობაც ამას ჰქვია! ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამაც მიიქცია: ქეთინოს ტურნირების დროს შეუძლია რამდენადმე „გაიიოლოს“ ცხოვრება“, პარტიების ერთი ნაწილი სწრაფი ყაიმით დაამთავროს, მაგრამ ამას იგი არასდროს არ აკეთებს, ყოველ პარტიაში მთელ სულსა და გულს აქსოვს.

ქეთინოს ახალმა ბრწყინვალე წარმატებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა იგი ღირსეულად ამოუდგება მხარში სახელოვან ქართველ დიდოსტატებს, რომლებმაც ამავე დროს, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატებიც არიან. 16 წლის კახიანის ნიჭიერება, შეუპოვრობა, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა ამის სრულ საფუძველს იძლევა.

სოფიკო ტერელაძე სექტემბერში 16 წლისა შესრულდა. მან უკვე კარგახანია მიიპყრო ჭადრაკის გულშემატკივრებისა და ექსპერტების ყურადღება. როცა გოგონა 13 წლის ასაკში საქართველოს ჩემპიონი ხდება ქალებს შორის და ოსტატის წოდებას იუფლება, აქაც ცხადია „ყოველდღიურ მოვლენასთან“ არა გვაქვს საქმე. გავიდა კიდევ ორი წელი. წლეულს სოფიკო წარმატებით გამოდის ყველგან, სადაც კი თამაშობს. ძალიან კარგად წარმართა საქართველოს ჩემპიონატი თბილისში, ჩინებულად თამაშობდა ბაქოშიც. თუ კახიანს ჭადრაკში სამეცადინოდ არც თუ ისე ახლო მანძილიდან თბილისში ჩამოსვლა უხდება, ტერელაძეს ასეთი „დისტანციის“ დაფარვა არ სჭირდება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სოფიკოს მთავარი მწვრთნელი მამაა, ჭადრაკზე დიდად შეყვარებული ვაჟა ტერელაძე. ბატონი ვაჟა პროფესიით ექიმია, მაგრამ ჭადრაკის ნამდვილი ფანატიკოსი (ამ სიტყვას ხომ ზოგჯერ დადებითი მნიშვნელობაც აქვს!), დიდი ერთგული და ქომაგია. ამიტომ, ცხადია, არ არის შემთხვევითი, რომ ასეთი პერსპექტიული მოჭადრაკე სწორედ მის ოჯახში აღიზარდა.

ერთი სიტყვით, კახიანი და ტერელაძე ის მოჭადრაკეები არიან, რომლებმაც ხვალ თუ ზეგ ახალთახალი წარმატებები უნდა მოიპოვონ. თუ თამაშის მანერის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ საერთო ცოტა რამ აქვთ. ქეთინო კახიანი, როგორც სვანს შეეფერება, მეტად დინჯია, სიმტკიცის ნამდვილი განსახიერება. იგი სვლას ხანგრძლივად იფიქრებს და როცა საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს, ეჭვი არ შეგეპაროთ, კომბინაცია ნაღდია და კორექტული. მისთვის „მოსაწყენი პოზიციები“ არ არსებობს, იქ, სადაც სხვები ბრძოლას წყვეტენ, ქეთინო თამაშს განაგრძობს, ბრძოლის ასეთ მანერას „უკანასკნელ პაიკამდე“ კახიანისათვის არაერთი ძვირფასი ქულა მოუტანია. რა ვუყოთ, რომ სხვები ფიქრობენ, აქ თამაშის გაგრძელებას რა აზრი აქვსო, კახიანი მათ არ ეთანხმება და სიმართლეც მის მხარეზეა.

სოფიკო ტერელაძე უფრო იმპულსურია. მან შეიძლება კომბინაცია ბოლომდე არ გააზვიადოს, მაგრამ თავის ინტუიციას ენდობა. ინტუიცია კი, პირდაპირ რომ ვთქვათ, მას შესანიშნავი აქვს. ტერელაძეს, რა თქმა უნდა, შეიძლება მეტი შეუპოვრობა ვუსურვოთ. ასეთი ყაიდის მოჭადრაკეების პარტიებში კრიზისი ადრე დგება. ისინი ხომ მაქსიმალისტები არიან, ჭადრაკში ყველაფერი სურთ, ასეთი მანერა კი დიდ რისკთან არის დაკავშირებული. დიახ, კარგად ცნობილი პრინციპია — „კეისარი ან არაფერი!“ როცა ტერელაძე შეტევას წარმართავს, მისი პარტიის ყურებას არაფერი სჯობს. „სამსხვერპლოზე“ არიან ეტლები, მხედრები (პაიკები რა სახსენებელია!) სოფიკოს შეუძლია ფიგურებს იქ მოუყაროს თავი, სადაც ისინი ყველაზე უფრო საჭირონი არიან. ეს კი უკვე ჩინებული პოზიციური ალღოს ნიშანია.

**ბიბი ბამრეკელი**



მეცხვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით იაკობაშვილი



დახედავთ თუ არა, მაშინვე იცნობთ მის ხელწერას. თავისებური ხედვით, მხოლოდ მას რომ შეუძლია, ისეთი ფოტო გამოსვლია... თანაც ძალიან მიგნებულად შეურჩევია ფონი, პერსონაჟი ცხოვრებიდან გამოუყვანია და მისი მთავარი ხასიათი დაუჭერია; ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გვიმზერს იგი ფოტოდან და თანაც თავის ცხოვრებასა და საქმიანობაში გვახედებს.

ასეთია ფოტოხელოვანის ოსტატობა!

დავით იაკობაშვილს ყველა იცნობს, თუ შემოქმედებით, თუ გარეგნობით. ჯერ კიდევ სამოცწლისანთა რიგებში დგას და თავისი პროფესიისათვის აუცილებელი კომპონენტებიც ახლავს: სისხარტე, ოპერატიულობა, მოუღლელობა, ძიება...

მას უყვარს თავისი პროფესია. არასოდეს არ დასცდება სინანული, ნეტა, სხვა დარგს დავუფლებოდიო. თბილისის მე-16 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში. იქ კარგ სტუდენტად ითვლებოდა, პროფესორ-მასწავლებლები ემადლიერებოდნენ... გარემოებამ აიძულა ნიჭიერი ახალგაზრდა 8 წლის შემდეგ აკადემიიდან გამოსულიყო. მაგრამ მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული მაინც თავის შემოქმედებით გზას ეძებდა. ერთი მადლიანი კაცის, ჟურნალისტისა და ფოტოკორესპონდენტის დახმარებით ფოტოხელოვნება შეისწავლა და მალე „მასწავლებელს" გაუსწრო. მისი პირველი ნამუშევარი გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა. გაიხარა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ თამამდებოდა, რომ სხვაგანაც მოესინჯა თავისი შესაძლებლობა. შემდეგ „ნორჩ ლენინელში" მიიღეს სიხარულით, „სახალხო განათლებამაც" მოიხმო, ახალდაარსებულმა „თბილისმა" გვერდები მისი ფოტოებით დაამშვენა. უცბად გაითქვა სახელი. და ახე სახელიანი 1957 წლიდან ჟურნალ „საქართველოს ქალში" დამკვიდრდა.

ვინ მოსთვლის, რამდენ საკავშირო თუ რესპუბლიკურ კონკურსში გაუმარჯვნია. პრიზები ბლომად დააგროვა, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიიღო, უცხოეთში, იუგოსლავიასა და უნგრეთში გამოფინა ფოტონამუშევრები — მხატვრული ოსტატობის ნიმუშები, რომლებიც მხატვრის მიერ შექმნილი შედევრების დარად ბრწყინავენ.

მის შემოქმედებაში ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი ყოველდღიურობა. და დავითის თვალით დანახული, მერე კი უცბად დაჭერილი ეს ყველაფერი, ხან გვაღონებს და გვატირებს, ხან გვახარებს და გვაცოცხლებს...

მაღალ ხელოვნებამდე აყვანილი მისი შემოქმედება გრძნობებს გვიფაქიზებს. კვლავაც ბევრს მოველით მისგან, რადგანაც ჩვენი დავითი ჯერ შემოქმედებითს ზენიტშია.

ლია კაკაბაძე













ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტი ყურადღება!

მტკვრისა და ბორჯომულას ხეობებში მომყუდროებულა ბორჯომი ფერდობებზე კოხტად შეფენილი სახლებით, მომხიბლავი პარკით, სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით და, რაც -მთავარია, საქვეყნოდ ცნობილი „ბორჯომის“ წყლით.

მართლაც, ეს ყველაფერი თვალწარმტაცია შორიდან, მაგრამ ახლოს თუ მივალთ? ასე ვთქვათ, დავივლით ქუჩებს, ვეწვევით მაღაზიებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლებს, გული ძალიან გვეტკინება: შეუხედავი საცხოვრებელი კორპუსები, გაუწმენდავი და უგემოვნოდ გაფორმებული მაღაზიის ვიტრინები, უსუფთაო ქუჩები.

პირველი შთაბეჭდილება აქ ჩამოსული კაცისა არცთუ სახარბიელოა ბორჯომელთათვის, მაგრამ ეს დალოცვილი ჰაერი, ეს ზურმუხტოვანი პეიზაჟი თვალსაწიერის ბოლომდე და უკვდავების წყალი უამრავ დამსვენებელს მაინც იზიდავს ყოველწლიურად... ასე გამოდის, მარტოოდენ ბუნების წყალობის იმედით ვართ? „ფეთხუმი მზეთუნახავი“ უწოდეს თბილისს (გაზეთი „თბილისი“ 1988 წ. 23 VI); ჰოდა, იმაზე ბევრად მოუწესრიგებელი და ფეთხუმია ყველასთვის სანუკვარი ბორჯომი.

ისეთი ფართო მნიშვნელობის კურორტ-ქალაქში, როგორიცაა ბორჯომი, რა თქმა უნდა, მომსახურება საუკეთესო უნდა იყოს. ახლა ვნახოთ:

ბორჯომში არ არის ჰიგიენის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, ქორწინების სახლი, აბანო... დიახ, აბანო! თუმცა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ბევრი დავიდარაბის მერე ძლივს მიაღწია, ორთქლის აბანოს კოოპერატივი რომ გაეხსნა, რომელმაც სულზე მოუსწრო ბორჯომელებს. მერე რა, რომ უზარმაზარი რიგებია და დიდხანს ლოდინი უწევთ, სამაგიეროდ არის ორთქლის აბანო, მაგრამ.. .იგი ჩვეულებრივ აბანოს შეცვლის?

ქორწინების სახლი ვახსენეთ. რვა წლის წინათ დაიწყეს მისი შენება, ჯერჯერობით კი რაც ააშენეს, ისიც ინგრევა, (სამშენებლო ორგანიზაციის ინჟინერი რომან ბლიაძე ხელმძღვანელობს).





ჰიგიენის სახლის მშენებლობა წლეულს დაიწყო. საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 98.000 მანეთი გამოუყო. ჰო, დიდი მონდომებით გაითხარა საძირკველი და... ნაგვით აივსო!

სასტუმრო „თბილისის“ წინ, ფერდობზე შენდება მიკროკომბინატი. წლეულს, საკურორტო სეზონისათვის უნდა დამთავრებულიყო მისი მშენებლობა, დამთავრებას კი ჯერ პირი არ უჩანს.

და კიდევ, თითქმის ყველა ობიექტი საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, მოითხოვს კაპიტალურ რემონტს.

სავალალო მდგომარეობაა...

ვეწვიეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს ქეთევან ხარისჭირაშვილს.

კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი ვერ დამალაო, — მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა. — მართლაც რომ, ძალზე მდარეა ჩვენში მომსახურება. ყველა ღონეს ვხმარობთ საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ ბევრი რამ ჩვენს ძალას აღემატება — ხელფეხშეკრული კაცის დღეში ვართ... ჯერჯერობით მხოლოდ ვალების გასტუმრებას ვუნდებით.

გამოირკვა, რომ ქეთევან ხარისჭირაშვილის მოსვლამდე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს თითქმის ორ მილიონამდე დავალიანება ჰქონია (დებიტორები — 153.500, კრედიტორები — 428.500, ზენორმატიული ნაშთი — 320.000; ბანკის ვადაგადაცილებული სესხი — 635.700). სამინისტრო 200.000 მანეთით დაეხმარა, დანარჩენს თვითონ შეეცადნენ და ახლა, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 429.000 მანეთი დარჩათ გადასახდელი — ეს ბანკის ვადაგადაცილებული სესხია და, ცხადია, ყოველწლიურად საურავის სახით საკმაოდ სოლიდური თანხა ემატება ვალს.

ქეთევან ხარისჭირაშვილს კი იმედი აქვს, რომ სამინისტრო კვლავ ამოუდგება მხარში.

— ორი წლით რომ გვასესხოს თანხა ჩვენმა სამინისტრომ, — ამბობს ქალბატონი ქეთევანი, — ძველ ვალს გავისტუმრებდით და საურავისაგან მაინც გავთავისუფლდებოდით...

მაგრამ, მუდმივმოვალე კაცისა მოგეხსენებათ — ალარავინ ენდობა, ის კი არა, ამ ჩვენს სამმართველოს ნემსი და ძაფიც ვერ მოუტანია სამინისტროს მომარაგების ბაზიდან — უარს ეუბნებიან საქონლის მიცემაზე. ამიტომაცაა, რომ აქაური მომსახურების ობიექტები ვერ დაიკვეხნიან უახლეს ტექნიკურ აღჭურვილობას, თუმცა რომელ ტექნიკაზეა ლაპარაკი, როცა ატელიეებში უჭირთ ძაფი, ელვა-შესაკრავი, ხოლო ქსოვილები მდარე ხარისხისა და მოდიდან გამოსულია.

ყოველივე ამის გამო სამმართველო ვერ ასრულებს გეგმას და, ცხადია, სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლაც გაუჭირდება.

ჩვენ აქ მხოლოდ უარყოფით მხარეებზე ვილაპარაკეთ, ასე ვთქვათ — „ხელფეხშეკრულის“ უმოქმედობაზე, მაგრამ, თუ მოიწადინებ, ასეთ მდგომარეობაშიც შეიძლება „კეთებანი საქმისა კეთილისა“. ახლახანს საკოლმეურნეო ბაზრის პირდაპირ კეთილმოწყობილ შენობაში გაიხსნა მშვენიერი ატელიე, ბაკურიანის თეთრეულის სამრეცხაოში ორთქლის ქვაბი დამონტაჟდა (ბორჯომში ეს ბედნიერება არა აქვთ!), რაიონის სოფლებში — საკირესა და ტაძრისში საპარიკმახეროები გაიხსნა... თუმცა ყველაფერი ეს გასაკეთებელთან შედარებით ზღვაში წვეთია და, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებს არც მოსახლეობასა და არც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

— დაიჯერებთ? აქაური მკვიდრი ვარ და ბორჯომის თითოეული კენჭიც კი ჩემთვის ძვირფასია. ღამეები არ მძინავს, ვფიქრობ, ვოცნებობ, ვეძიებ, როგორ დავიხსნათ თავი ეკონომიკური გაჭირვებიდან. ჰოდა, აი, რა მოვიფიქრე: მინდა შევქმნა „ბორჯომის“ სატირმო ჩამოსხმის კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ სამმართველოს დაექვემდებარება. ამ საკითხზე კიდეც ვისაუბრეთ შესაბამის ინსტანციებში. თუმცა, ამაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ნაადრევია... — გვითხრა ქალბატონმა ქეთევანმა.

ყველაფერი უცებ წარმოვიდგინე — „ბორჯომის“ მინი-ჩამომსხმელი ქარხანა, მისი სოლიდური შემოსავალი, რომელიც, მართლაც რომ წაადგება ბორჯომის კეთილდღეობას. ამბობენ, პური მეპურეს გამოაცხობინეთო... ვინ, ვინ უწყის ამ საქმის ავანჩავანი, თუ არა ქეთევან ხარისჭირაშვილმა, „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა. დღესაც ახსოვთ ქარხნის მუშებს მათთან ერთად მომუშავე რეზინის ჩექმებჩაცმული დირექტორი, ეს ვაჟკაცური შემართების ქალი...

ქალბატონ ქეთევანს დიდი იმედი აქვს კოოპერატივის.

დაველოდოთ მომავალს...

**მანანა ზარიძე**

# ხალხური ტრადიციების ქომაგი

ამ სამიოდე წლის წინათ ახალციხეში, სახალხო დღესასწაულ „საფარობაზე“ ჩამოსულ სტუმრებს სოფელ მუსხში ვახლდი. სოფლის კლუბში ამ დროს წარსული ყოფისა და კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიული გამოფენა იყო მოწყობილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ის კუთხე, სადაც სოფლის მკვიდრთა მიერ შინამრეწველური წესით მოქსოვილი ხალიჩები, ფარდაგები (ფიჩვები), ჯეჯიმები, ხურჯინები და სხვადასხვა სახის ნაქსოვი ნიმუშები იყო გამოფენილი.

გამოფენის ინიციატორი და სულისჩამდგმელი მუსხის მკვიდრი, კლუბის გამგე მარიამ ქუქუნაძე აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობა უძველეს დროიდანვე ძალზე მაღალ დონეზე ამუშავებდა მატყლს და იყენებდა როგორც სატანსაცმელე ქსოვილების, ისე სხვა ცალობრივი ნაწარმის დასამზადებლად; მათი ნაწარმი სანიმუშო იყო ქსოვის მრავალგვარი ტექნიკით, ფერთა შეხამებითა და ორნამენტთა დახვეწილი გემოვნებით.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სამცხე-ჯავახეთში მოქსოვილი ხალიჩა-ნოხები და მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელი ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს, და რაოდენ დასანანი იყო, რომ ეს საქმე ჩვენს თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, დავიწყებას ეძლეოდა ხალხური ფეიქრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. მაგრამ ახალციხის რაიონის კულტურის განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას საქმიანი, ენერგიული მანდილოსანი ირა კურტანიძე, დაინტერესდა ამ საშვილიშვილო საქმით და მუსხის კლუბთან გახსნა ხალხური ფეიქრობის შემსწავლელი წრე ხელგარჯილობით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის. ამ წრეს სათავეში ჩაუდგა მარიამ ქუქუნაძე.

მარიამ ქუქუნაძემ, ამ ენთუზიასტმა ქალმა კლუბში „ქსოვისა და საფეიქრო წრის“ გახსნით ყველა ღონე იხმარა, რათა გადაერჩინა და შთამომავლობისათვის შემოენახა ეს მეტად საჭირო და აუცილებელი ხალხური ხელოვნების სახე. ამასთან ერთად იგი ცდილობს აღადგინოს ხალხური ხელოვნების არანაკლებ მნიშვნელოვანი დარგი — მღებრობა. მან იცის, რომ მცენარეული წარმოშობის საღებავები მეტი მდგრადობითა და უხუნადობით გამოირჩევა.

ჰოდა, დადის მარიამი იალაღებზე, ველ-მინდვრებში, აგროვებს საღებავ მცენარეებს და აზუსტებს საღებავების მიღების რეცეპტებს. დღეისათვის მისი წრის წევრები მხოლოდ და მხოლოდ ბალახეული საღებავებით შეღებილი ნართით ქსოვენ.

დიდი სიყვარულითვე აგროვებს მარიამი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს: ლექსებს, ანდაზა-გამოცანებს, აწყობს ფოლკლორულ საღამოებს, მით უმეტეს, რომ სოფელი მუსხი ოდითგანვე განთქმული იყო ხალხური მთქმელებითა და მომღერლებით.

მისი ხელმძღვანელობითვე ამზადებენ სოფლის მამაკაცები სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნივთებს: — ქართულ ხალხურ აკვნებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს. იცის მარიამმა, რომ ეს ყველაფერი საჭიროა, ახალგაზრდობა დაინტერესდება წარსულით, აწმყო ხომ შეუძლებელია წარსულის გარეშე.

მუსხელების ოსტატობასა და მარიამ ქუქუნაძის საქმიანობაზე მოთხრობილი იყო გაზეთ „პრავდის“ 1987 წლის 7 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ოსტატები ცხოვრობენ მუსხში“, რომელიც გამოქვეყნდა რუბრიკით „ცხოვრების საბჭოური წესი“.

და დღეს, როდესაც პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის დაჩქარების პროცესის სრულყოფისათვის მრავალ ამოცანებს ვსახავთ, მარიამ ქუქუნაძეს ბევრი მიმბაძველი უნდა გამოუჩნდეს, მისი საქმიანობა კეთილ მაგალითად უნდა იქცეს, რადგანაც ჩვენი ვალია ხალხის მიერ დაუნჯებული, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ხელოვნება ჩვენი დროის მოთხოვნილების სამსახურში ჩავაყენოთ და ის, რაც ხალხს შეუქმნია, განვაახლოთ, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას და ახალ საფეხურზე აყვანას. ამით მშრომელთა ინტერესების და რაიონის ეკონომიკის განვითარებისათვის ვიზრუნებთ.



მარიამ ქუქუნაძე დაზგასთან

**ვერიკო მოდებაძე,**

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიბერე ყველას ეწვევა

საქართველოში საერთო ტიპის მოხუცებულთა პანსიონატები გვაქვს თბილისში (საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი), ქუთაისში, ცხინვალში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიასა და სოხუმის რაიონის სოფელ კამანში. თერჯოლასა და ძეგვში ფუნქციონირებს ფსიქონევროლოგიური პანსიონატები. არის უკვე მშენებარე ობიექტებიც: ბობოყვათში შენდება ომისა და შრომის ვეტერანთა პანსიონატი, ქუთაისში — მოხუცთა სახლის ახალი კორპუსი და მცხეთაში — 1200-ადგილიანი ასეთივე სახლი. დღეისათვის ყველა პანსიონატზე საშუალოდ წელიწადში 2 მილიონ სამასი ათასი მანეთი იხარჯება. ამაში შედის კვების, ინვენტარის შესაძენად და მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო საერთო თანხა. პანსიონატებს სულ 536 თანამშრომელი ემსახურება.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას პანსიონატებზე. ამასთან, ზოგიერთი, უკვე არსებული პანსიონატის მდგომარეობაც არადამაკმაყოფილებელია. მათ რიცხვში არ შედის თბილისის პენსიონერთა სახლი, რომლის სიკეთეზე არაერთხელ დაწერილა პრესაში. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს სახლი საჩვენებლად რჩება და სხვები მასთან სიახლოვესაც ვერ მოვლენ, რა თქმა უნდა, დიდად სასიხარულო არ გახლავთ.

როგორც სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატების განყოფილების ექიმ-ინსპექტორმა თამაზ ხოსიტაშვილმა მითხრა, მოხუცთა სახლებში არცთუ იშვიათად შეინიშნება ნაკლოვანებები კვების ორგანიზაციაში. ეს საკითხი სამინისტროს კოლეგიასაც განუხილავს ამ ცოტა ხნის წინათ. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ პანსიონატებს საკმარისად არ ამარაგებენ პროდუქტებით. მათი ძირითადი მომმარაგებლები არიან ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის და სახაგრომრეწვის ადგილობრივი ორგანიზაციები (ტერიტორიული განაწილების მიხედვით). მაგრამ არის შემთხვევები, როცა პანსიონატი განაცხადში მოთხოვილზე ნაკლებ პროდუქტებს იღებს. ეს ძირითადად ხორცს, რძის პროდუქტებსა და ხილს ეხება. კოლეგიის სხდომაზე მომზადდა შესაბამისი წერილები ვაჭრობის მინისტრის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარისა და სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის სახელზე, რომ მათ მითითებები მისცენ მომმარაგებელ ორგანიზაციებს ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

— ურიგო პრაქტიკა როდია პანსიონატებთან დამხმარე მეურნეობების შექმნა, სადაც მოჰყავთ ბოსტნეული და ბაღჩეული; ზოგან აქვთ ფერმებიც, ზრდიან ღორებს და სახელმწიფოს აბარებენ. ეს გამოცდილება სასურველია შეძლებისდაგვარად გავრცელდეს და თანხა პანსიონატის კეთილმოწყობას მოხმარდეს. არის კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო მომენტი: ფიზიკური სამუშაო მოხუცთა და ინვალიდთა სახლების მკვიდრთ ერთგვარად გაახალისებს და სტიმულს შემატებს მათ ცხოვრებას.

* * *

მწვანეში ჩამდგარი სახლი შორიდან შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც ქართლის თვალწარმტაცი ბუნება მშვენიერ ფონს უქმნის. მაგრამ ძეგვის ფსიქონევროლოგიურ პანსიონატს რომ მიუახლოვდებით, რეალურ სურათს მხოლოდ მაშინ ნახავთ.

— პანსიონატში დაარსებიდან, 1969 წლიდან ვმუშაობ, — მითხრა ექთანმა როზა მერაბიშვილმა. — 16 წლის ზევით ყველა ასაკის ავადმყოფი გვყავს, არიან ღრმად მოხუცებიც. თავიდან გამიჭირდა მუშაობა, ახლა შევეჩვიე. ჩემი აქ ყოფნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა: უწინ ღრმა მოხუცებულთა სახლი იყო, მერე ინტერნატად გადაკეთდა, ახლა, მოგეხსენებათ, ფსიქიკურად დაავადებულთა პანსიონატია, თუმცა მოხუცები ძირითადად „ნორმალურები“ არიან — ინვალიდები, უსინათლოები. საქართველოში ასეთი სახლები ცოტაა, და ამიტომ სამინისტრო ისეთ ავადმყოფებსაც გვიგზავნის, რომლებიც ჩვენი პროფილისა არ არიან.

ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე, ჰოლში ავადმყოფები შეკრებილიყვნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. საპირფარეშოს სუნი იდგა...

— სულ ასეა, — მითხრა დიასახლისმა ციცინო ჯავახიშვილმა. — შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, დროზე მიხედვა უნდა. არ გვყოფნის ინვენტარი და ტანსაცმელი, საწოლები უვარგისია, გვაკლია ტანსაცმელი ზომების მიხედვითაც. ერთი სიტყვით, პრობლემები გვყოფნის.

...მოხუცებული, სათნო სახის ქალი ხელჯოხზე დაყრდნობილი იჯდა სავარძელში. ყოფილი პედაგოგია, რუსულს ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, არავინ ჰყავს, სიძე — დის ქმარი აკითხავს ხანდახან. — დიასახლისი რომ დაინახა, ქალმა სთხოვა, გამომიცვალეთ ლოგინი, ძალიან უსუფთაოდ ვარო. ქალი ოთხმოცს გადაცილებული იქნებოდა, დანაოჭებულ სახეს კიდევ შეენახა სილამაზის კვალი. შექსპირი გამახსენდა: „მემკვიდრე შეჰქმენ, რომ დაგიცხროს ეგ იარები და სიბერეში სიჭაბუკეს ეზიარები...“

თუმცა...

* * *

სოცუზრუნველყოფის სამინისტროში ჩემი მისვლის მიზანი რომ შეიტყო, თამაზ ხოსიტაშვილმა მითხრა, ცოტა ადრე რომ მობრძანებულიყავით, ფაქტს თავად შეესწრებოდით. 70 წლის აცრემლებული ქალი მისულა საბუთებით. შვილი, რძალი და ორი შვილიშვილი ჰყოლია. მაგრამ, როგორც თვითონ თქვა, მათ ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ იძულებული გამხდარა პანსიონატში წასვლაზე დათანხმებულიყო. ეს შემთხვევა უპრეცედენტო როდია.

ჩვენში მოხუცებული ადამიანი ოჯახში ოდითგანვე სიბრძნის სიმბოლოდ ითვლებოდა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით. ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენც გვეწევა ჭაღარა, მუხლის ყიძაბუნე, დაგვაკლდება თვალის ჩინი... ულმობელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ფაქტია. გვეყოს გონება, ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ უარყოფილი მშობლის როლში...

მეგობარს (22 წლის ქალიშვილს) მამა დაეღუპა, დედა უკვე მეშვიდე წელია ლოგინად ჩავარდნილი ჰყავს. ერთხელ საუბრისას როგორღაც მითხრა: „დედაჩემს რა შეუძლია, მწოლიარე ავადმყოფია, ხელით ვაჭმევთ, ვასმევთ, ლაპარაკი უჭირს... მაგრამ მაინც დიდი იმედი და სიხარულია, რომ დედა სახლშია!..“ მას არასოდეს დაუჩივლია, რომ უჭირს დედის მოვლა, რომ ყველა საქმე მის კისერზე გადადის (თან სწავლობს კიდეც)... იქნებ შვილების ასეთი სითბო უფრო სჭირდება ინვალიდ და მოხუცებულ მშობელს, ვიდრე თუნდაც იდეალური პანსიონატის სიმყუდროვე და კეთილმოწყობა? ამ კითხვას, ალბათ, ერთი დადებითი პასუხი აქვს.

* * *

და მაინც... ყველამ უნდა ვიზრუნოთ მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატის მდგომარეობაზე, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოების უფრო მეტიც, სოციალისტური საზოგადოების წევრები ვართ. ჩვენს ქვეყანასა და რესპუბლიკაში ათასგვარი ფონდი და საზოგადოება შეიქმნა. ახლახან რსფსრ-ში ჩამოყალიბდა ინვალიდთა სრულიად რუსეთის ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელმაც 16 ათასი რეგიონალური პირველადი ორგანიზაცია და მათი 376 ათასი წევრი გააერთიანა. ამას წინათ „მედიცინსკაია გაზეტა“ წერდა, რომ მოსკოვში გაიმართა საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც განსაზღვრა მისი ფუნქციები და ამოცანები.

იქნებ ჩვენც გვეფიქრა ამ საკითხზე და შეგვექმნა თუ საზოგადოება არა, მოხუცთა და ინვალიდთა ფონდი მაინც, რომელიც მათი უამრავი პრობლემის გადაჭრას მოხმარდებოდა.

დაგვეთანხმებით, საკითხი სერიოზულ განსჯას მოითხოვს.

**ნინო ლურსმანაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზინა ჩხეტიანი

არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ცხოვრებისა და ბედნიერების ასაწყობად განგებისაგან ბოძებული ნიჭი და ენერგია საზოგადო საქმიანობას შეალიეს და მაინც ბედისადმი საჩივარი არ დასცდენიათ.

ზინა ჩხეტიანი სოფელ პლასტუნკის (კრასნოდარის მხარეში) ქართული სკოლის მასწავლებელი იყო.

მასწავლებელი ხომ საერთოდ სულიერი მოძღვარია მოზარდებისა, მაგრამ ზინა კიდევ უფრო მეტი იყო; გამორჩეულად მოკრძალებული, სინდისით დაყურსული, ყოველგვარ ხოტბას განრიდებული. გამახვილებული პედაგოგიური ხედვის და მიგნების ალღოთი ეძიებდა იგი ბავშვში თავმოყრილ ინდივიდუალურ საგანძურს. საზღაური ჯილდო? ბავშვების სხივჩამდგარი თვალებით მოფერება და ირგვლივ შემოკრებილთა დაუოკებელი ჟრიამული.

ზინა მოსწავლეებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალასთან ერთად ზნეობის ფორმულებსაც უხსნიდა და დიდ ცხოვრებაში შესასვლელ გზებს უკვალავდა.

არაქართულ გარემოცვაში მოხვედრილ პლასტუნკელ ქართველებს, რა დასამალია და, ქართული ენის დაკარგვის საშიშროება დაემუქრა. ზინა, ვერა, თამარი, მარო და კიდევ რამდენიმე მასწავლებელი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ამ კუთხეს ქართული ენა შეენარჩუნებინა, ქართული ტრადიცია, ქართული ხასიათი და, საერთოდ, ქართულობა დაეცვა. ზინა მასწავლებელი არაქართველ ბავშვებსაც ისე ასწავლიდა ქართულს, როგორც ქართველებს.

ისეთი ტრადიციული ოჯახის შვილს, როგორიც ზინა იყო, ალბათ, სხვაგვარად არც შეეძლო.

შრომაში გაილია წლები.

ახალგაზრდობისდროინდელი სიცოცხლით სავსე კისკისა ხასიათი წლებმა ქართულ სიდარბაისლედ შეცვალა.

მალე ზინა მასწავლებელს სამოცდასამი წელი შეუსრულდებოდა. მომჭირნედ მოზომილი საწყაოა სიცოცხლის ჩასატევად. განგებამ მისი სვრელი გატანილად ჩათვალა, არადა, შეეშალა — სიცოცხლე მისხლობით არ უნდა იწონებოდეს.

ზინა ჩხეტიანის მსგავსი ადამიანები სჭირდება ხალხს, საზოგადოებას, მომავალ თაობებს, ნათესავებს, მეგობრებს და საერთოდ, გვჭირდება ადამიანებს. ისინი სანიმუშო სვეტად უნდა გვეგულებოდეს ცხოვრებაში, თუნდაც შორიახლოს, ოღონდ გვეგულებოდეს.

ფიქრებში წასულს მწერალ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მამიდა“ მომაგონდა. მოთხრობა პატარაა, მაგრამ ჩვენს საყვარელ მწერალს შესაშური მიხვედრილობით ამოუხსნია ქართველი ქალის ბუნება.

თერთმეტი წლის გოგონა მამიდას ეკითხება.

— „მართლა იმიტომ არ გათხოვდი, მამიდა, რომ ჩვენ უნდა გაგვზარდო?“

ქართველ ბავშვებს ბევრი ჰყავთ მსგავსი მამიდები და დეიდები. ნუმც მოშლოდეთ!

ჩემო ზინა! რამდენჯერაც შემოიარა სიკვდილმა თქვენს ოჯახში, ყოველთვის ხელდამშვენებული წავიდა. ტკივილს ტკივილი ემატებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ თქვენს გულებში დუღდა, გარეთ არ ჟონავდა. ახლა თქვენს დას, თამარსაც დაუცალდა ულელი. მარტომ უნდა იტვირთოს შენთან ერთად საკეთებელი საქმეები.

მე კი იმ მძიმე წუთებში შეუფერებელი სიმშვიდე დამეუფლა, უცნაურად შეუფერებელი, რომ ვუყურებდი, როგორ გადგა თავზე შენს მიერ დაფრთიანებული თვალმახარა ახალგაზრდობა, სიკვდილი დამარცხებული მომეჩვენა.

ალბათ, ესაა სიცოცხლის გაგრძელება.

**ნორა ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის სულის სილამაზისათვის

ბავშვის აზროვნება უჩვეულოა, ბავშვის ფანტაზია უსაზღვროა და ჩვენც მას არ უნდა წავუშალოთ თავისი ლამაზი, ჯადოსნური სამყარო. ოცნების გარეშე ბავშვის ბუნება ღარიბია, მას აინტერესებს ყოველივე, იგი უამრავ კითხვას სვამს.

აღმზრდელმა ბავშვს ლამაზად, მისთვის გასაგები ენით უნდა აუხსნას ყველაფერი, რაც მას აინტერესებს, გაუღვიძოს ყოველ საგანსა და სულდგმულში სილამაზის დანახვის უნარი, ფერისა და ფორმის აღქმა, მუსიკის მომაჯადოებელი ჰანგებისა და რიტმის შეგრძნება.

ბავშვს ადრეული ასაკიდან აღბეჭდილი ბევრი რამ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ზღვისპირეთში დაბადებულსა და აღზრდილ ბავშვებს ცისფერი უყვართ, ხოლო ტყისა და მთების გარემოცვაში გაზრდილებს მწვანე და წითელი ფერი იზიდავთ.

ბავშვის ეკოლოგიური შეგრძნება კი უფრო მოგვიანებით ყალიბდება, როდესაც იგი გარემო-სამყაროს ეცნობა; ეს არის: ლამაზი ფერის სათამაშო, ფერადსურათებიანი წიგნი. პატარა, ცოცხალი ფინია, პეპლები, ყვავილები, გაზაფხულის თბილი წვიმა, თეთრი, ფარფატა თოვლის ფიფქები და სხვ. თუ დედა პანიკურად იწყებს ყვირილს პატარა ხოჭოს დანახვაზე, ან სისტემატურად აშინებს ძაღლით, თუ ბავშვი ცხოველებს სცემს ან აწვალებს, უმიზეზოდ სრესს ხოჭოებს, უნგრევს ჭიანჭველებს ბუდეს, ხევს ლამაზ წიგნებს, უწყალოდ ხოცავს ჩიტებს ან ქვებს უშენს არხეინად მოყაყანე ბაყაყებს, მაშინ ბავშვი უხეშ, ეგოისტ და უგულო ადამიანად გაიზრდება, რომელიც საზოგადოებისა და ბუნებისაგან ყველაფერს მოითხოვს, თვითონ კი არაფერს გასცემს.

ბავშვი მშვენივრად გრძნობს სიკეთესაც და ბოროტებასაც. მას მოჭარბებული ენერგია აქვს, ზოგჯერ დამანგრეველიც. ბავშვები ხშირად ამახინჯებენ ხელოვნების ნაწარმოებებს, ჯღაბნიან კედლებს, — აბა, შეხედეთ ჩვენს მატერიალური კულტურის ძეგლებს, მის კედლებზე ამოტვიფრულ „ბოროტმოქმედთა“ სახელებს, რამდენჯერ გაუჩალებიათ ტყეში და ხის ფუღუროებში ჰიაკონა, დაუწვავთ მრავალწლოვანი უნიკალური ხეები... რამდენია ისეთი ბავშვი, რომელიც თავის სათამაშოს გადამალავს და სხვისას გააფუჭებს, დასვრის და დაჯღაბნის სადარბაზოს და სახლის კედლებს, დააბინძურებს ლიფტს. ძალიან ხშირად მასწავლებელს უხდება ოჯახში მიღებული აღზრდის ხარვეზების გამოსწორება, რაც დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. 15—16 წლის მოზარდის ხელმეორედ აღზრდა მეტად ძნელი საქმეა, ზოგჯერ შეუძლებელიც. უკვე ჩამოყალიბებული, ეკოლოგიურად დამახინჯებული ახალგაზრდა ველარ აღიქვამს კულტურის ჩვევებს, — რაც ბავშვის ადრეულ ასაკში უნდა მოხდეს, ამიტომაც მთავარია არ დავაგვიანოთ.

მთელი ჩემი შემოქმედება ბავშვებს მივუძღვენი: მხატვრობა იქნება ეს თუ ლიტერატურა, ფილმზე მუშაობა თუ პედაგოგიური საქმიანობა. რა კარგი იქნებოდა, რომ სახელოსნო მქონოდა და იქ ხელმარჯვე ბავშვებისათვის მუდმივი გამოფენა მომეწყო თვალსაჩინოებისათვის. აქვე შეიძლებოდა კონსულტაციებისა და შრომის მასწავლებლებისათვის გაკვეთილების ჩატარება, რაც მათ ძალიან სჭირდებათ. 30 წელია მათთან მიხდება მუშაობა და გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ამ დარგის პედაგოგების მდგომარეობა მეტად სავალალოა. მასწავლებელი ხომ თავად უნდა ფლობდეს სპეციალობას. თუ პედაგოგს ამის უნარი არა აქვს, მაშინ ბავშვებისათვის გაკვეთილი უინტერესო ხდება, მასწავლებელი კარგავს ავტორიტეტს, სკოლაში იშლება შრომის გაკვეთილები. სასურველია, რომ ყველა ადამიანი ხელმარჯვე იყოს. ეს ჩვევა მას პატარაობიდანვე უნდა განუვითარდეს. სკოლებში ხატვის გაკვეთილებს უმეტესწილად ისეთი მასწავლებლები ატარებენ, რომლებსაც ხატვაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ, განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები სოფლის სკოლებში და რაიონულ ცენტრებში. პროფესიონალი მხატვარი კი ძალიან იშვიათად თუ წავა სკოლაში ხატვის მასწავლებლად. ისინი უფრო სამხატვრო სკოლებს ეტანებიან ან პიონერთა სახლებში აყალიბებენ ხატვის წრეებს. სადაც ხატვის ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს იზიდავენ. ვფიქრობ ისინი სწორად იქცევიან, რადგან თუ ბავშვს ხატვის ნიჭი არა აქვს, ძნელია მისგან მხატვარი გამოვიდეს. ეს ბუნებით მინიჭებული მადლია, ასე ვთქვათ, მეექვსე გრძნობაა. და თუ ბავშვში მხატვარი ზის, ის აუცილებლად ადრე თუ გვიან გამოვლინდება. სკოლებში კი უმეტეს ნაწილად ხელმარჯვეობა უნდა ისწავლოს ბავშვმა: რაიმე საგნის კონსტრუირება, სათამაშოებისა და თოჯინების შეკერვა-გაკეთება, მაკრატლის ხმარება, ქარგვა, ქსოვა, ხატვის წესები, ფერების შეხამება და სხვ.

შრომის მასწავლებლის ვალია ბავშვს შეაყვაროს სახვითი ხელოვნება, ხატვა, მუსიკა, განუვითაროს ესთეტიკური გემოვნება, ასწავლოს სილამაზის დანახვა ყველა საგანში და მოვლენაში, ამას კი მარტო დიდაქტიკით და ჭკუის დარიგებით ვერ მიაღწევს. ამიტომ საჭიროა ამ საგნის მასწავლებლების მომზადება, რომლებსაც მხატვრულ განათლებასთან ერთად თეორიული ცოდნაც ექნებათ. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა გვაქვს საქართველოს სოფლებში, სადაც არ არის საჭირო ხელსაწყოები, ფუნჯები, საღებავები. იშვიათად შეხვდებით სამხატვრო სტუდიებს, მუზეუმებს, მოძრავ გამოფენებს, ბავშვთა ესთეტიკური განვითარებისათვის კარგია ფერადი სლაიდების, დიაფილმების, ალბომების, ფოტორეპროდუქციების გამოყენება. ბავშვებისათვის შემოქმედებას სიხარული უნდა მოჰქონდეს. ბავშვებს სახვითი ხელოვნების კარგი პედაგოგი სჭირდებათ. იქნებ კულტურისა და განათლების სამინისტროებმა მხატვართა კავშირთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიება და სამხატვრო ტექნიკუმთან, პედაგოგიურ ინსტიტუტთან ან სამხატვრო აკადემიასთან შექმნან ფაკულტეტი მხატვარ-პედაგოგებისათვის; იქ ის საგნები უნდა ისწავლებოდეს, რომლებიც უშუალოდ ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას მოემსახურება. ბავშვის კომპლექსური აღზრდა მოითხოვს, რომ ადამიანი იყოს განათლებული, ჰქონდეს მუსიკის მოსმენის კულტურა, სურათის „წაკითხვის“ უნარი, გრძნობდეს და ესმოდეს პოეზია, იცნობდეს ხელოვნების ისტორიას, როგორც საზღვარგარეთის, ისე ქვეყნის, და კიდევ რამდენი რამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა იაპონელების მაგალითი მოვიყვანო. სადაც საბავშვო ბაღში, კოლეჯში და უმაღლეს სასწავლებელში ერთ-ერთ ძირითად საგნად შემოქმედებითი ესთეტიკა ითვლება. იქ პატარაობიდანვე ასწავლიან ბავშვებს ხატვას, ქარგვას, კერვას, სათამაშოების კონსტრუირებას, როგორც ქაღალდებისაგან, ისე სხვადასხვა მასალისაგან. კარგ ხელსაწყოებზე, ფერადებზე და ფუნჯებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იაპონიაში ყველა მოსწავლე, ყველა სტუდენტი დაუფლებულია ჭრა-კერვას. მათ კარგად იციან თანამედროვე მოდა, ფერების ურთიერთშეხამება და როცა ვესტუმრეთ სასწავლებლებს, შეხვედრა ყველგან მოდების ჩვენებით იწყებოდა. ამ ტანსაცმლის ავტორები მოსწავლეები იყვნენ. კოლეჯში ხელოვნების სრულ კურსს გადიან, გარდა ამისა იქ ასწავლიან ყოფაქცევის ესთეტიკას, ოჯახის ეთიკას, ჭრა-კერვასთან ერთად იაპონელმა ქალმა იცის მამაკაცთან თავის დაჭერა, ნარნარი სიარული.

დამეთანხმებით, რომ ჩვენში თუ ქალი კარგად კერავს, ეს დიდი ღირსებაა. ჩემის აზრით, კერვის ცოდნა ყველა ქალისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ ქალი მუდამ კარგად და მოდურად იყოს ჩაცმული. ზოგიერთ ატელიეებში შეკერილი კაბის „მადლი" კი ალბათ ბევრმა ქალმა იწვნია. თუ კერძო მკერავს მიაგნო, მაშინ ერთი ხელფასი შესაკერად უნდა გადასდოს, ესეც მაშინ, თუ ოჯახის ბიუჯეტი აძლევს ამის საშუალებას, თანაც თვეობით უნდა ელოდოს... და დადიან ჩვენი ქალები ძველმოდურ და ვიწრო კაბებში, განსაკუთრებით 50 წელს გადაცილებულები, სწორედ იმ ასაკისანი, რომლებსაც ყველაზე უფრო გემოვნებით უნდა ეცვათ, რომ უფრო ახალგაზრდულად და ელეგანტურად გამოიყურებოდნენ. ყოველივე ეს იმისი ბრალია, რომ თავის დროზე, ბავშვობიდან კერვა არავინ შეასწავლა, ჩაცმა-დახურვის ხელოვნებას არავინ აზიარა. იქნებ აუცილებელია საბავშვო ბაღებს, სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს ჰყავდეთ კარგი მასწავლებელი კომპლექსურ ესთეტიკაში, რომელიც ხატვის, მუსიკის ხელოვნების გარდა ბავშვებს ასწავლის ყოფაქცევის ესთეტიკას, ჩაცმის კულტურას, ზნეობას, მშობლიური ქალაქის, მისი მთაბარის და ბუნების სიყვარულს, წინაპართა ნამოღვაწევის პატივისცემას, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

ნელი ოქროპირიძე

ექიმის რჩევა

# ზოგიერთი რამ კანის ქავილის შესახებ

ჟურნალის მკითხველები გვთხოვენ განმარტებას და რეკომენდაციებს ბოქვენისა და საზარდულის ნაოჭებში ქავილის მიზეზებისა და მისი მკურნალობის შესახებ.

ბოქვენის არეში, საზარდულის და დუნდულებს შორის ნაოჭებში კანის დაზიანება და ქავილი ვითარდება ეგზემის, ლიქენის, ნეიროდერმიტის, სოკოვანი დაავადებების, ფსორიაზისა და სხვა ქრონიკული დერმატოზების დროს. ბოლო წლებში მათ შორის ყველაზე ხშირია აღნიშნული ლოკალიზაციის ნეიროდერმიტი და სოკოვანი დაავადება, კერძოდ ე. წ. რუბროფიტიის, ანუ წითელი ტრიქოფიტონით გამოწვეული მიკოზის გენერალიზებული ფორმა. ეს სოკოპარაზიტი მეტად გამძლეა და ადვილად ვრცელდება. გადადის ავადმყოფთან უშუალო კონტაქტით, ან მის მიერ დაბინძურებული საგნების გამოყენებით (ლუფა, ტაშტი, პირსახოცი და სხვ). სოკოების კანში შეჭრას და მის გამრავლებას ხელს უწყობს სინესტე, ოფლიანობა, სხვადასხვა მძიმე დაავადებების შედეგად განვითარებული კანის წინაალმდეგობის უნარის დაქვეითება და სხვა.

სოკოპარაზიტები, როგორც წესი, დასაწყისში აზიანებენ კანს ტერფებზე (ფეხის თითებს შორის და ფეხის გულებზე) და მოგვიანებით ფრჩხილებს. კანი უხეშდება, სქელდება, ქატოსებური ქერცლით იფარება, თითებს შორის ნაპრალი ჩნდება და იქერცლება. ხანგრძლივი პროცესის შემთხვევაში სოკოპარაზიტები კანში ღრმად შეიჭრებიან, ლიმფური სადინარებისა და სისხლის გზით შეიძლება მთელ ორგანიზმში მოიფანტონ და კანის ნებისმიერ ადგილას (დაწყებული წვივებიდან, დამთავრებული სახით და თავის თმიანი არით) მიკოზური კერა გაჩნდეს. ასეთი კერები ყველაზე ხშირად საზარდულის ნაოჭებში ჩნდება, საიდანაც პროცესი ბოქვენზე და ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე, შორისზე და დუნდულებზე ვრცელდება. კერებში კანი წითლდება, აქერცლილი ლაქები და მცირე ზომის კვანძები ჩნდება, კერის ნაპირები შემაღლებული, უფრო მუქი ფერისაა. აქა-იქ სისხლიანი ქერქითა და ქერცლითაა დაფარული. ზოგჯერ ბოქვენის არეში თმებიც ზიანდება. ძლიერი ქავილის შედეგად დაკაწრულ კანში შეიძლება ინფექცია შეიჭრეს და მეორადი ჩირქოვანი პროცესი განვითარდეს. ძირმაგარებისა და წვრილი ჩირქოვანი ბუშტუკების გაჩენით, რაც პროცესს კიდევ უფრო ამწვავებს. ნაოჭების რუბროფიტიას ქრონიკული მიმდინარეობა აქვს და პერიოდულად მწვავდება, განსაკუთრებით ზაფხულში, ორსულობის და მელოგინეობის ხანაში, დიაბეტისა და ჩიყვის შემთხვევაში, ანტიბიოტიკებით, ჰორმონული და ციტოსტატიკური პრეპარატებით მკურნალობისას.

ქავილის გამო ავადმყოფები თვითმკურნალობას იწყებენ ქავილის საწინააღმდეგო მალამოებით — პრედნიზოლონით, ფლუცინარით, ფტოროკორტით, ლორინდენით და სხვა, რომლებიც ქავილს დროებით ამცირებენ, მაგრამ ეს მალამოები და კრემები ჰორმონებს შეიცავენ, ჰორმონები კი სოკოპარაზიტებისთავის კარგი საკვები ნიადაგია და ხელს უწყობენ მათ გამრავლებას და კიდევ უფრო გავრცელებას.

სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ დღეისათვის უამრავი ეფექტური პრეპარატი არსებობს არა მხოლოდ მალამოების, კრემებისა და ხსნარების (მიკოზოლინი, მიკოსეპტინი, კანესტენი, კლორიმაზოლი, უნდეცინი, იოდიანი ხსნარები და სხვა), არამედ შიგნით მისაღები ტაბლეტების სახითაც (გრიზეოფულვინი და ნიზორალი), მაგრამ მათი გამოყენება ექიმის დანიშნულებით უნდა ხდებოდეს, დიაგნოზისა და დაავადების კლინიკური ფორმის მიხედვით.

ნეიროდერმიტი ქრონიკული ქავანა დერმატოზია, ხშირი რეციდივებით საზარდულის ნაოჭებში, სასქესო ორგანოებზე, შორისისა და ანუსის ირგვლივ ძლიერი ქავილის გამო კანი სქელდება, კერას მკაფიო საზღვრები და ქობა არ აქვს, კანი ოდნავ მოვარდისფრო და მშრალია, მისი ზედაპირი დაფარულია ქერცლით, დანაკაწრებით და სისხლიანი ქერქებით. ნეიროდერმიტით უფრო ხშირად ქალები ავადდებიან ნერვული სისტემის და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის მოშლის გამო. ნეიროდერმიტის სამკურნალოდ მხოლოდ მალამოების გამოყენება ნაკლებ-ეფექტურია, ის მისი გამომწვევი მიზეზის დადგენას და მიზეზობრივ მკურნალობას მოითხოვს. ამიტომ თვითმკურნალობა დაუშვებელია, საჭიროა ექიმს დროულად მიმართოთ. შესაფერისი დანიშნულების გამოყენება და რეჟიმის დაცვა უზრუნველყოფს ავადმყოფის გაჯანსაღებას.

ლუბა შეწირული,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთგულად ემსახურა სამშობლოს

წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის ორივე ხარისხის ორდენოსანი, მრავალი მედლის მფლობელი, საპატიო რკინიგზელი, სარაიონო და საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი კლარა ხოჭოლავა (1909-1988) დაიბადა ქუთაისში, ცნობილი რევოლუციონერის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის მუხრან ხოჭოლავას ოჯახში. დედა არ ხსომებია. მამა თორმეტი წლისას გარდაცვლია, რომლის სამუდამო მოსაგონრად ფარატინა ქაღალდზე მიწერილი ორიოდ სიტყვა შემორჩენია. „შვილო კლარა, შენ იცი, როგორ გამოადგები ხალხს და სამშობლოს“ ასეთი იყო თავად სამშობლოს ერთგულებას შეწირული ვაჟკაცის ანდერძი შვილისადმი.

კლარა ხოჭოლავამ შეასრულა მამის დანაბარები: მას მხოლოდ ხუთი წლის საექიმო გამოცდილება ჰქონდა, როდესაც თეთრი ხალათი მებრძოლის ფარაჯით შესცვალა და მოხალისედ წავიდა თეთრფინელებთან საბრძოლველად. მკაცრ ყინვიან და თოვლიან საფრონტო გზებზე კლარამ ოთხ თვეზე მეტი ხანი დაჰყო. ამ პატარა და ერთი შეხედვით სუსტმა ქალმა უერთგულა სამშობლოს, რის აღსანიშნავადაც 1940 წლის 9 მარტს, კრემლში ამხ. მიხეილ კალინინმა გადასცა მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ფრონტიდან შინ დაბრუნებულმა ამოსუნთქვა ვერ მოასწრო, რომ დაიწყო დიდი სამამულო ომი. კლარა ხოჭოლავა თავისი სურვილით 1941 წლის ივნისიდანვე შეუდგა ომის გრძელსა და ცეცხლოვან გზებს.

— „ნავთლუღიდან გავცქეროდი მთაწმინდას... ბავშვები მინდვრის ყვავილებს გვესროდნენ ომში მიმავალთ... ერთი პეშვი მიწა ცხვირსახოცში გამოვახვიე და უბეში შევინახე, მშობლიური მიწა დამიფარავსო, ვიფიქრე“...

კლარა ხოჭოლავა ჯერ ფეხოსანი დივიზიის სანიტარული ბატალიონის საოპერაციო ბლოკის, შემდეგ-მედსანბატის წამყვანი ქირურგია.

51-ე გვარდიის დივიზია, რომლის ქირურგიც კლარა ხოჭოლავა იყო, მხედართმთავრის, გენერალ-მაიორის, ნიკოლოზ თავართქილაძის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაერთო ლეგენდარული სტალინგრადის ალყის ბრძოლებსა და მის ლიკვიდაციაში. როდესაც დაჭრილ-დახოცილთა სისხლით გაჟღენთილი მიწა გმინავდა, კლარა ხოჭოლავა სანგარში თუ ღია ცის ქვეშ დაჭრილ მეომართა სიცოცხლისათვის იბრძოდა, იბრძოდა გმირულად და თავგანწირვით.

დაუვიწყარია ეპიზოდები: შეხვედრა ფინეთის ფრონტგამოვლილ მეომარ ბუნინთან, რომელსაც ისევ კლარას ხელით ენერა გადარჩენა; დაბომბვის დროს სასიკვდილოდ დაჭრილ მერეჟკოვისათვის კიდურის ამპუტირება; ბრძოლა მასიური სისხლისდენების შესაჩერებლად, საკუთარი სხეულით დაფარვა მებრძოლებისა; სამი წლის ცისფერთვალება ვალენტინა მელიხი — „დივიზიის შვილობილი“, რომელიც ომმა მიუსაფარი დასტოვა და კლარამ უპატრონა.. გვარდიის კორესპონდენტ ქოჩარის სიტყვები: „თუ გინდათ ცოცხალი დარჩეთ, ექიმ კლარას ახლოს იყავით — მას სჯერა, რომ იგი თბილისის გარდა არსად მოკვდება, მისი რწმენა ყუმბარაზე ძლიერია“. და შეარქვეს კლარა ხოჭოლავას „ქალი — ლეგენდა“, „თავგანწირვის იშვიათი მაგალითი“, „დედური სითბოს სიმბოლო“.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების უმაგალითო ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების ექომ მთელ პლანეტას ელვასავით გადაუქროლა. აქ გამარჯვებულ მებრძოლთაგან თორმეტკაციანი დელეგაცია შეირჩა, რომელიც ამიერკავკასიაში გამოემგზავრა, ბაქოსა და ერევნის შემდეგ თბილისში — მწერალთა სასახლეში მათ შეხვედრა მოუწყეს. აქ, გმირ ვაჟკაცთა შორის იყო ჩექმებში ლამის ყელამდე ჩაფლული კაფანდარა ქალი კლარა ხოჭოლავა, უკვე სახელმოხვეჭილი მებრძოლი დასტაქარი.

და კვლავ გაგრძელდა ბრძოლები კურსკთან, ორიოლთან, ბელგოროდთან... პირველი უკრაინის ფრონტი, ბალტიისპირეთი, ოპერაცია „ბაგრატიონი“ და... გამარჯვებას გამარჯვება სცვლიდა...

კლარა ხოჭოლავას სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა 51-ე გვარდიის დივიზიის მიერ განვლილი საბრძოლო გზის ისტორიაში.

1946 წლიდან კლარა ხოჭოლავა ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას დაუბრუნდა და სიცოცხლის დასასრულამდე ექიმის საპატიო მოვალეობას ასრულებდა. მას ხომ სამაგალითო ქირურგიული წვრთნა ჰქონდა გავლილი აკადემიკოსების — კონსტანტინე ერისთავის და ეგნატე ფიფიას გვერდით: იგი იყო სანიმუშო მონაფე, თავდადებული მკურნალი, სულიერად ფაქიზი, მორალურად წმინდა, კეთილი ზრახვებით სავსე.

ჩვენ, კლარას მეგობრებსა და კოლეგებს გვწამს, რომ იგი გულნაკლული არ განშორებია თავის სალოცავ ქვეყანას, რადგან ვაჟკაცივით ემსახურა სამშობლოს, თავის ხალხს მშობლებისაგან მემკვიდრეობით გადმოეცა პატიოსნება, კაცთმოყვარეობა და სამშობლოსადმი ერთგულება. და მანაც ამ სიმართლითა და პატიოსნებით განვლო გზა ვრცელი და ქვალორღიანი, მაგრამ მრავალგზის საინტერესო და შინაარსიანი.

**როდამ ქუმსიაშვილი,**
რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გრიპის წინააღმდეგ- მასაჟით

მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცემებით დედამიწის ზურგზე ყოველწლიურად გრიპით 70 მილიონი ადამიანი ავადდება. ასი დაავადებულიდან დაახლოებით ოთხი კვდება. ყოველ მეოთხე ადამიანს ემართება მწვავე რასპირატორული დაავადება. მთლიანად მწვავე რასპირატორული დაავადებების მკურნალობაზე წელიწადში იხარჯება 10 მილიარდი მანეთი.

ეშველება კი რამე ამ დაავადებებს?

დიახ, ეშველება, ასე თვლიან ი. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის 1 სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტები. ამ ინსტიტუტის მწვავე ვირუსული რასპირატორული დაავადებების ადრეული გართულებების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკის ლაბორატორიაში შეიმუშავეს ეფექტიანი საშუალება მოსახლეობის მასობრივი პროფილაქტიკისათვის — წერტილოვანი მასაჟი.

ამის თაობაზე გვესაუბრება ლაბორატორიის ხელმძღვანელი **ალა უმანსკაია**, რომელსაც მკურნალობის ამ მეთოდისათვის საავტორო მოწმობა და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალი გადაეცა.

— უკანასკნელ ხანს სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ შექმნილმა ვაქცინებმა ადამიანებს იმედი გაუღვიძა, რომ არც თუ შორეულ წარსულში, ყველა ინფექციის დამარცხებას შევძლებთ. და მართლაც, წარსულს ჩაბარდა ყვავილის, შავი ჭირის, პოლიემიელიტის ეპიდემიები. მაგრამ მსოფლიოს მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყოველგვარი დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინას ვერ შექმნი. გრიპის ვირუსი, ყოველ წელიწადს ახალ-ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს. ამიტომ სხვა გზით უნდა ვიაროთ — ინფექციისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობა უნდა გავზარდოთ:

მაგრამ როგორ? სპორტი ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, წამლები კი ხშირად ალერგიას იწვევს. და აი აქ, ჩვენს დასახმარებლად მოდის... ჩვენივე ორგანიზმი. ის თვითონ შეიცავს აუცილებელი წამლების კომპლექტს, რომელთაც კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც ერთი უშესანიშნავესი ხელოვნური პრეპარატი. წერტილოვანი მასაჟის ზემოქმედებით ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი დიდად იზრდება, ეს იმით არის განპირობებული, რომ იზრდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სისხლსა და ლორწოვან გარსში „გადასროლა". ამ მასაჟის გამოყენება დაბადების პირველი დღიდანვე შეიძლება. ათვისება სულ რამდენიმე წუთში შეუძლია ყველა მსურველს.

ვინც ჩვენი მეთოდიკის გამოყენებას მოისურვებს, ვურჩევთ გულდასმით დააკვირდეს სქემას. აქ აღნიშნული ცხრა წერტილიდან თითოეული პასუხს აგებს ამა თუ იმ ორგანოს მდგომარეობაზე და დიდ როლს ასრულებს მათი იმუნური ფუნქციის რეგულირებაში.

რიგრიგობით დაიზილეთ ყოველი ზონა რამდენიმე წამის განმავლობაში, დღეში სამჯერ. მასაჟი თითით გაიკეთეთ, წრიული მოძრაობით 9-10-ჯერ ერთი და ამდენივეჯერ — მეორე მიმართულებით. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა დაიზილოთ მე-2 და მე-3 ზონა. აქ მსუბუქი მასაჟია საჭირო, რადგან აქვე, გვერდზე საძილე არტერიაა, ზონებს შორის კი — ფარისებრი ჯირკვალი. მის გაღიზიანებას გულისცემის აჩქარება შეუძლია.

გაფრთხილებთ, რომ წერტილოვანი მასაჟის ჩატარება არ არის მიზანშეწონილი, თუ 1-9 ზონებს შორის კანზე ჩირქოვანი გამონაყარი გაქვთ. ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება მასაჟი, მაშინაც, თუ ამ ადგილებში გაქვთ ხალი, მეჭეჭი ან რაიმე სიმსივნე.

მოსკოვში წერტილოვანი მასაჟის გამოყენება დაიწყეს დიდი უნივერსალური მაღაზიის (გუმის) № 500 საბავშვო ბაღში. შედეგი განსაცვიფრებელია. გაცივებით გამოწვეული ავადმყოფობა უფროს ჯგუფებში, შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა. ახლა, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ქალაქკომის განკარგულებით, წერტილოვან მასაჟს ჩაატარებენ მოსკოვის ოც საბავშვო ბაღში, სადაც ამ სისტემის თანამშრომელთა ბავშვები დადიან.

წერტილოვანი მასაჟი პირდაპირ მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივად უხდება სიცივეში გარეთ ყოფნა, ვინც ადვილად ცივდება და სხვა.

წერტილოვან მასაჟს ერთი საინტერესო თვისებაც აქვს: ხანგრძლივი, სისტემატური ვარჯიშით შეგიძლიათ იმას მიაღწიოთ, რომ მხოლოდ წარმოდგენით გაადევნოთ თვალი ზემოთჩამოთვლილ ზონებსა და არეებს და ეს საკმარისი იქნება, რომ ორგანიზმის მთელი დაცვითი სისტემა ჩაერთოს. ვთქვათ, თქვენს გვერდით ვიღაც ახველებს და აცემინებს. ნამდვილად ეტყობა, რომ გაცივებულია. აი ამ დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ დამცველ ძალთა ჩართვის ზემოხსენებული მეთოდი, რომელსაც მოგვიანებით, როცა საშუალება მოგეცემათ, დაზელვით განამტკიცებთ.

თარგმნა
**ნანული ბარათაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს შეუძლებელია

ძვირფასო რედაქციავ! შარშან, 20 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში" წავიკითხე სტატია „ფასი და ხელფასი", სადაც ახსნილი იყო ხელფასის მომატების კანონები. გაზეთში გარკვევით ეწერა, საერთო მინიმალური ხელფასი 75 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოსო. მე პირადად დამლაგებლად ვმუშაობ, და ვისაც ვიცნობ დამლაგებლებს, სამოცდაათ მანეთზე მეტი ხელფასი არც ერთს არ მიუღია.

ამბობენ, დამლაგებლის მინიმალური ხელფასი ოთხმოცდახუთი მანეთიდან ოთხმოცდაათ მანეთამდე გაიზრდებაო და ძალიან შევწუხდი. რა მოხდება, რომ ჩვენი ხელფასი 100 მანეთამდე მაინც გაიზარდოს.

ახლა დამლაგებლების პენსია 50 მანეთს არ აღემატება. 20—25 წელი ადამიანმა დამლაგებლად იმუშაო და 50 მანეთი პენსია?

ხომ იცით, დღევანდელ ბაზარში რა ფასებია, რა ვჭამოთ, არსებობა არ გვინდა? მაღაზიებში ადრე კარტოფილი თუ 15 კაპიკი ღირდა, ახლა 25 კაპიკი გახადეს, 10 კაპიკად შეფასებული კომბოსტო ახლა 30 კაპიკი ღირს; ისიც ქუთაისის ხილბოსტნეულის მაღაზიებში წელიწადში ერთხელ თუ გამოჩნდება ხოლმე, 10 კაპიკიანი ძაფი 25 კაპიკად იყიდება. 10 კაპიკი და 20 კაპიკი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ფულია.

დამლაგებლის შოვნა ხშირად ჭირს, ეს იმიტომ, რომ დამლაგებელს დაწესებულების ზოგი ხელმძღვანელის თვალში ფასი არ აქვს.

თუ ვინმე მოგვიკვდა და განთავისუფლება დაგვჭირდა, გვეტყვიან, სთხოვე ამხანაგს, რომ შენს მაგივრად იმუშაოსო. თუ ავად გახდი და საავადმყოფოში მოხვდი, ვის ახსენდები. არავის აინტერესებს მოკვდი თუ მორჩი. რაც უნდა იდეალური დამლაგებელი იყო, თუ ერთი დღე ხელი შეგეშალა, არ გაპატიებენ.

ჩვენს შრომას არავინ უფრთხილდება. უფრო მეტიც — 70 მანეთს ღებულობ და 5 მანეთიანი ცოცხი ბაზარში უნდა იყიდო, რადგან ცოცხს არ გვაძლევენ და იმით იმართლებენ თავს, ცოცხზე ფულის გადარიცხვის უფლებას ბანკი არ იძლევაო! თვითონ კი წარმოების ზოგი უფროსი უბრალო ფანქარსა და პასტაშიც კი არ იხდის ფულს.

ძვირფასო რედაქციავ, მოგეხსენებათ, ზოგი ფართობი იოლი დასალაგებელია, ზოგი კი მეტ შრომას მოითხოვს.

როცა 60 მანეთი იყო ჩვენი ხელფასი და იგი 70 მანეთამდე გაიზარდა, რა თქმა უნდა, დასალაგებელი ფართობიც მოგვიმატეს.

გვაინტერესებს, ახლა როცა ხელფასი მოგვემატება, სამუშაო, ფართობსაც მოგვიმატებენ? — ეს შეუძლებელია. დამლაგებლის შრომა ადვილი არავის ეგონოს.

ნათქვამია: ჭინჭრის სხვისი ხელით კრეფა ადვილიაო.

ქუთაისლები

# დრაკონის



# წელიწადი

ჩინურ ლეგენდებსა თუ ხალხურ ზეპირ გადმოცემებში განსაკუთრებით პოპულარულია მითიური დრაკონი. იგი მოხსენებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გადმოცემის თანახმად, დრაკონი ცაში ცხოვრობს, ღამით ყლაპავს მზეს და დღისით ათავისუფლებს. ამიტომაც ჩინელებს ძალიან უყვართ ეს კეთილი სული.

ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა მოსავლის ბედი დიდად არის დამოკიდებული წვიმებზე, მეხუთე მთვარის მეხუთე დღეს ჩინელები ხოტბას აღავლენენ დრაკონისადმი, რომელიც წყლის სტიქიას მფარველობს. იმ დღეს ოჯახის წევრები საჩუქრებს უძღვნიან ერთმანეთს, ბამბუკის ფოთოლში გაახვევენ ბრინჯიან ღვეზელს და კარზე ჩამოკიდებენ დრაკონის თოჯინას, რომელიც ბოროტ სულებს აფრთხობს. მდინარეებსა და ტბებზე იმართება შეჯიბრი გრძელი ნავებით, რომლებსაც თავი დრაკონისა აქვს, ბოლო კი დრაკონის კუდითაა დამშვენებული. ნავებიდან წყალში დრაკონის პატივსაცემად ყრიან ფოთლებში გახვეულ ბრინჯს, რათა წვიმა მოვიდეს.

წყალს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომაც არხების გაყვანა ჩინელებმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყეს. არხების მფარველი ოდითგანვე დრაკონი იყო. ამის დამადასტურებელია ქ. ხენდუს მიდამოებში აშენებული პარკი „ცის სამეფო" და დრაკონისადმი მიძღვნილი ტაძარი.

დრაკონის დღესასწაული ყოველთვის დიდი ზეიმით და საინტერესოდ აღინიშნება. თეატრებში იდგმება დრაკონისადმი მიძღვნილი წარმოდგენები. ქუჩებში გამოდიან მთხრობელები და გამვლელებს უამბობენ ლეგენდებს, მითებსა და ზღაპრებს დრაკონის შესახებ.

ჩინელებს განსაკუთრებით უყვართ ლეგენდა ცხრა დრაკონზე. „ერთ კაცს, სახელად სიას (ჩინურ ლეგენდებსა და ზღაპრებში თითქმის ყოველთვის ძალზე ზუსტად არის მითითებული გმირების სახელები და მოქმედების ადგილი, ისე ზუსტად, რომ ხშირად ემთხვევა ისტორიულ ფაქტებს) გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც მთელი ტანი დაფარული ჰქონდა ფერფლით. მშობლები შეშინდნენ და გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ახალშობილზე, მაგრამ ამ დროს მათ სახლთან ჩაიარა მაწანწალა მღვდელმა და უგულო მშობლებს უთხრა: ბიჭს დიდი მომავალი ელის, კარგად მოუარეთო. ბიჭს მშობლები ადრე დაეხოცა, თვითონ კი ისეთი გაიზარდა, რომ ყველასაგან გამოირჩეოდა. მან ბალახიდან დაწნა დრაკონი და ღამღამობით მიფრინავდა ქვეყნის ლამაზ ადგილებში. ეს შეამჩნია გამზრდელმა ბიძამ. ბიჭსაც არ დაუფარავს თავისი მოგზაურობის ამბავი და ერთხელ ბიძას დრაკონით გაფრენა შესთავაზა. გაფრინდნენ. დაბრუნების დროს ბიძა უცებ გადმოვარდა დრაკონიდან და დიდი გაჭირვებით დაბრუნდა შინ. ძმისწულზე გაბრაზებულს გაახსენდა მღვდლის დარიგება: არ გაეჩეხათ სახლის უკან ბამბუკი, არ მოეკლათ შავი ძაღლი, არ დაეხოცათ სახლის წინ, ღელეში იხვები და არ გაეღოთ მთავარი კარი, თორემ ბიჭს დიდი უბედურება შეემთხვეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამზრდელმა ბიძამ დაარღვია დანაბარები და გაჩეხა ბამბუკი, მოკლა შავი ძაღლი, ამოხოცა იხვები, გააფრიალა კარი და თეთრი ისრები გაფრინდნენ იმპერატორისაკენ. იმპერატორმა იცოდა, რომ ღმერთებმა მოავლინეს ბიჭი, რომელსაც უნდა შეეცვალა იგი. ამიტომ ხშირად იყურებოდა ჯადოსნურ სარკეში და დაინახა საიდანაც მოფრინდნენ ისრები, გაუშვა თავისი ჯარი, ბიჭთან საომრად. ბიჭი ებრძოდა ჯარს მარტოდ-მარტო, რადგან მისი დამხმარე ჯარი, რომელიც ბამბუკში იმალებოდა, დაიღუპა მისი გაჩეხვის დროს. გაქცევაც აღარ შეეძლო, რადგან იხვებიც ამოეწყვიტათ. უჩვეულო სიჩუმემ კი ხელი შეუშალა დამალვაში და ბიჭი გადაიქცა დრაკონად, რომელმაც მოიქნია კუდი და წარმოშვა ტბა, სადაც დაიმალა. ცხრაჯერ ამოაშრეს ტბა, ბიჭი ცხრაჯერვე დრაკონად იქცა. ბოროტმა ბიძამ მაშინ ბოძები, ჩააყრევინა ჯარს. რათა დრაკონი ზედ შემოხვეოდა. ასეთი გზით დაიჭირეს დრაკონი და აღარ ეღირსა ჩინეთს ღირსეული იმპერატორი.

ხალხი რაზედაც ოცნებობდა, ლეგენდებად თხზავდა. პეკინში, ბეიჰაის პარკში შესანიშნავი სანახავია „ცხრა დრაკონის" კედელი. დრაკონისადმი ბევრი ლიტერატურული ნაწარმოებია მიძღვნილი.

მედიცინა კი სასწაულქმედებას მიაწერდა „დრაკონის ძვლებს", რომლებსაც ნაყავდნენ და ისე იყენებდნენ. „დრაკონის ძვლებმა" დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩინელ ხალხს ჩინეთის ისტორიის შესწავლაში.

1899 წელს იმპერიის აკადემიის მდივანი ი-ჟუნი ციებამ შეიპყრო. ერთმა ექიმმა მას „დრაკონის ძვლები" გამოუწერა. აფთიაქში ნაყიდი ძვლები უნდა დაენაყა და ისე მიეღო. ი-ჟუნი ძალზე გაოცდა, როცა ძვლებზე იეროგლიფები შენიშნა.

ეს აღმოჩნდა უძველესი დროის დამწერლობა. დაიწყო „დრაკონის ძვლების" შეგროვება და კოლექციონირება.

ასეთი „დრაკონის ძვლები" ძალზე ბევრი გაიტანეს იაპონიასა და კანადაში მისიონერებმა.

არქეოლოგები დღესაც საინტერესო მასალას პოულობენ. შანხაისთან ახლახან ჩატარებული გათხრების დროს მეცნიერებმა იპოვეს სამარხი, რომელიც ადასტურებს, რომ ჩინეთი დასახლებულა 400 წლით ადრე, ვიდრე ამას ისტორიკოსები ფიქრობდნენ.

არც დღესაა დაკარგული დრაკონისადმი პატივისცემა. ჩინელი ხალხი აშენებს ისეთ ქვეყანას, როგორზეც ოცნებობდა საუკუნეთა მანძილზე.

1988 წელი — გამოცხადებული დრაკონის წლად ბევრ სიკეთეს პირდებოდა მათ.

**ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი**

# კულინარია



## კარტოფილის „კალათა"

12 ცალი საშუალო და ერთნაირი ზომის კარტოფილი გარეცხეთ, რომ არ ჩაიშალოს, მოხარშეთ ოდნავ მარილიან წყალში, გადაავლეთ ცივი წყალი და გაფცქვენით. თითოეული კარტოფილის ძირი სწორად გადაჭერით, რომ საინზე საყრდენი ჰქონდეს, თავი კი ფრთხილად ამოუბურღეთ წვრილი დანით და სიცარიელე ამოავსეთ ბაჟით. შემდეგ კარტოფილს ოხრახუშის ღერით მოხერხებულად გაუკეთეთ სახელური, ისე რომ კარტოფილი კალათს დაემსგავსოს. კალათის თავი მოალამაზეთ ბროწეულის მარცვლებით, ბაჟის ნაცვლად შეგიძლიათ „კალათი" ამოავსოთ ქინძით, ნივრით და ძმრით შეზავებული ნიგვზით. ან ცხიმში მოშუშული ხახვით, აგრეთვე დაფშვნილი ყველით. თუ ხახვით ან ყველით შეავსებთ „კალათს", მაშინ თავი არაჟნით შეალამაზეთ.

თამარ ქავთარაძე-აბაშიძე,
დამსახურებული მასწავლებელი,
საჩხერე.

## სტაფილოს და ხაჭოს სალათი

200-250 გრამი ხაჭო კარგად დასრისეთ 1 ღვინის ჭიქა ანადუღარ ცივ რძეში. შეაზავეთ მარილით (გემოვნებით) და თუ ხაჭო მომჟავოა, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი. შეურიეთ 200 გრამი მსხვილად გახეხილი სტაფილო, მოათავსეთ საინზე და ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.

## ნუგბარი მანის ბურღულისაგან

ერთ ჭიქა ერბოში მოხალეთ (გავარდისფერებამდე) 8 ჩაის ჭიქა მანის ბურღული, დაასხით ზედ 4 ჩაის ჭიქა წყალში წამოდუღებული 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისაგან მიღებული ვაჟინი (სიროფი) და ურიეთ მანამდე, ვიდრე ბურღული მთლიანად არ შეიწოვს ვაჟინს, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან მიღებული მასა, გადააფარეთ ჭურჭელს ჯერ ჩაის ტილო, შემდეგ თავსახური და დატოვეთ ასე 20 წუთის განმავლობაში. 20 წუთის შემდეგ მოაფრქვიეთ მცირეოდენი ვანილი, ისევ აურიეთ კარგად და დატოვეთ ვიდრე გაცივდება. გაცივებული მასა გადმოიღეთ გაშლილ შესაფერის თეფშზე ან ლანგარზე და მოაყარეთ ზემოდან 200 გრ მსხვილად დაჩეჩქვილი ან დაჭრილი ნიგოზი.

## ვაშლის ღვეზელი უცხიმოდ

5 კვერცხი და 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ 200 გრ არაჟანი, 1 ჩაის კოვზი სოდა, მცირეოდენი ვანილი, დანის წვერით მარილი, 6-7 ცალი მსხვილად გახეხილი ვაშლი (ანტონოვკა), კარგად აურიეთ და თანდათანობით შეაზილეთ (დაახლოებით 400-500 გრამი) ფქვილი ისე, რომ მიიღოთ კექსის ცომის მაგვარი ცომი; მოათავსეთ იგი ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ დიდ ტაფაზე, გაასწორეთ, ცომი მიიყვანეთ ტაფის ნაპირებამდე და შედგით გაზქურის ღუმელში ნაზ ცეცხლზე. გამომცხვარ და გაცივებულ ღვეზელს მოაყარეთ შაქრის პუდრა და დაჭერით სასურველ ფორმებად (რომბისებურად ან ოთხკუთხა ნაჭრებად).

ქ. თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინა ჟივულსკა

# როგორ ვიმშობიარე



(წერილი მეგობარს)

მეკითხები, — როგორ ვიმშობიარე. მესმის, ჩემი ამბავი გაინტერესებს, თანაც ის — ბევრი ვიწვალე თუ არა. შევეცდები, დაწვრილებით აგიწერო, თუ როგორ ვიმშობიარე.

4 ივნისს, საღამოს ცხრა საათზე, ქმარს ვუთხარი, რომ ტკივილები დამეწყო. იგი ოდნავ გაფითრდა, მაგრამ შეეცადა, მღელვარება არ დამჩნეოდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, საჭიროდ ჩავთვალე მისთვის ვალერიანის წვეთები მიმეცა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს საცაა წაიქცევაო. ვალერიანის წვეთები რომ გადაჰკრა, ღამის თორმეტი საათისათვის თავი უკეთესად იგრძნო. ერთი საათის შემდეგ კი ხელების ფშვნეტა და ფრჩხილების კვნეტა დაიწყო. ვთხოვე, რაიმე დასაწყნარებელი წამალი ხომ არ მოგვცე-მეთქი, მიპასუხა, სავსებით მშვიდად ვგრძნობ თავსო. ამ დროს პაპიროსით შარვალი ამოიწვა. კიდევ კარგი, ცეცხლი მალე ჩაუქრა და ფეხი არ დაიწვა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცოცხლად იხრუკებაო.

ღამის სამ საათზე ექიმი გამოვიძახე. მორფი გაუკეთა. ნემსის გაკეთებისას თვალიც არ დაუხამხამებია. მერე სიცილი აუვარდა, ხუმრობდა, ჩემს გართობას ცდილობდა. უცებ ასეთი რამეც კი მითხრა: „ატყობდი, წელს რა ცხელი მაისი იყო?“

რამდენიმე საათის შემდეგ ოთახში სირბილიც კი დაიწყო, თითებს იმტვრევდა და ყრუდ კვნესოდა, ლოყებზე ღვარად ჩამოსდიოდა სითხე, ეს რა არის-მეთქი, რომ ვკითხე, ვაჟკაცურად მიპასუხა, არაფერი, სურდო მაქვსო, ცრემლად კი იღვრებოდა.

შუაღამის პირველ საათზე იატაკზე დაეცა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ბავშვი გვეყოლა...

ჩემი ქმარი თავს კარგად გრძნობს. გკოცნი. შენი ქრისტინა.

პოლონურიდან თარგმნა
**ინგა კაკაბაძემ**

# რჩევები დიასახლისებს

ხახვის, ნივრის ან თევზის გაფცქვნის შემდეგ, ხელზე აუცილებლად გექნებათ არასასიამოვნო სუნი, რაც შეგიძლიათ მოიშოროთ მარილით; მარილით გაწმენდის შემდეგ ხელი დაიბანეთ საპნით.

მარილიანი წყლით კარგად იწმინდება სარკე და ფანჯრის მინები. მარილიანი წყლით გაწმენდილი ფანჯრის მინაზე ყინვა არ მოქმედებს. თუ შეორთქლილი ფანჯრის მინები შეიყინა, ნახევარ ლიტრ წყალში გახსენით მუჭა მარილი დაასველეთ შიგ ღრუბელი ან ჩვარი, გადაატარეთ მინაზე და ყინულის ქერქი სწრაფად გაქრება. ამის შემდეგ მინა გაამშრალეთ სუფთა ნაჭრით.

მცირეოდენ ნიშადურის სპირტში გახსნილ მწიკვ მარილს ამოჰყავს ცხიმის ლაქები აბრეშუმის ქსოვილიდან.

თუ შემთხვევით ნოხზე მელანი დაგეღვარათ, მაშინვე დააყარეთ ზედ ერთი მუჭა მარილი; მარილი სწრაფად შეიწოვს მელანს და ლაქა აღარ დაჩნდება.

ცხვირსახოცებს ვიდრე გარეცხავდეთ, ნახევარი საათით ადრე ჩაალბეთ მარილწყალში. ამის შემდეგ ცხვირსახოცი კარგად ირეცხება.

ხაოიანი პირსახოცი რბილი და ფუმფუშა რომ იყოს, გარეცხვის შემდეგ ცოტა ხნით ჩაალბეთ სუსტ მარილწყალში.

დანა, მაკრატელი და სხვა გასალესი ნივთები, გალესვამდე 40 წუთის განმავლობაში მოათავსეთ სუსტ მარილწყალში, შემდეგ შეუმშრალებლად გალესეთ.

ნედლი შეშა რომ ადვილად აინთოს, მოაყარეთ ქვამარილის ნამტვრევები.

ახალი ცოცხი, გამძლე და მაგარი რომ იყოს, 2-8 საათის განმავლობაში ჩადეთ მდუღარე მარილწყალში.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.09.88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10.88 წ. ქაღალდის ზომა 60X1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 170.000. შეკვ. 2247. უე 01542.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58



ოთხმოცდამეთხუთმეტე შემოდგომა

ზ. დათუაშვილის ფოტოეტიუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ 84/195



ეროვნული ბიბლიოთეკა